



საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედების ფარგლები და მტკიცების
ტვირთის განაწილება კონსტიტუციური წარდგინების განხილვისას
თეონა დვალი

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
თბილისი, 0186, საქართველო
სექტემბერი 2020

საავტორო უფლება 2020 თეონა დვალი

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი თეონა დვალის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედების ფარგლები და მტკიცების ტვირთის განაწილება კონსტიტუციური წარდგინების განხილვისას“ და ვაძლევ რეკომენდაციას სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: დიმიტრი გეგენავა თარიღი

:

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი

განაცხადი წარმოდგენილ ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ, როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სტუდენტი: თეონა დვალი თარიღი:

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედების ფარგლები და მტკიცების ტვირთის განაწილება კონსტიტუციური წარდგინების განხილვისას. მნიშვნელოვანი საკითხია კონსტიტუციური წარდგინება, მტკიცების ტვირთი და მათი სამართლებრივი ანალიზი. საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვას. ნაშრომში საუბარია კონსტიტუციური წარდგინების არსზე, დანიშნულებაზე, მტკიცების ტვირთზე, მიზანზე და იმ რიგ პრობლემებზე რაც პროცესუალურად თან სდევს კონსტიტუციურ წარდგინებას. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგინების მნიშვნელობა, სადაც დავინახავთ საკონსტიტუციო სასამართლოს მთავრი დანიშნულებას, საუბარია ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის კონტროლზე. საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვადლევს შესაძლებლობას, რომ განვსაზღვროთ კანონის უზენაესობა და საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქცია, კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელებისას. ნაშრომში, საუბარია რამდენიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე, საიდანაც ჩანს პრაქტიკაში არსებული პრობლემები და გამოწვევები. საკონსტიტუციო სასამართლოს მთავარი ამოცანაა, რომ უზრუნველყოს სასამართლოს დამოუკიდებლობა და საზოგადოებაში ნდობის ამაღლება, სამართლიანი სასამართლოს მიმართ. საჭიროა სწორი პრაქტიკის დანერგვა და იმ ძირითდი ხარვეზების გამოყოფა, რაც ცალსახად სახეზეა. მნიშვნელოვანია განხილულ იქნას ის პრობლემური საკითხი, რომლის აღმოსაფხვრელადაც საჭიროა შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

Annotation

The present paper discusses scope of action regarding Constitutional Court and the distribution of the burden of proof when considering a constitutional submission. An important issue is the constitutional submission, the burden of proof and their legal analysis. The Constitutional Court ensures the protection of human rights and the rule of law. The paper discusses the essence, purpose, burden of proof and number of problems that procedurally accompany the constitutional submission. For the purpose of the study, the importance of submission to the Constitutional Court should be determined, where we will see the main purpose of the Constitutional Court, we are talking about the control of the constitutionality of the normative content of the norm. Analysis of constitutional case law allows us to define the rule of law and the function of the Constitutional Court in the administration of constitutional justice. In the paper, several important decisions are discussed, which show the problems and challenges in practice. The main task of the Constitutional Court is to ensure the independence of the judiciary and to increase public confidence in a fair trial. It is necessary to introduce the right practice and identify the main shortcomings that are clearly visible. It is important to consider the problematic issue that needs to be addressed to take appropriate action.

ნაშრომის სტრუქტურა

I. შესავალი	7
II. საკონსტიტუციო სასამართლო მოქმედების ფარგლები სამართალწარმოებაში	10
2.1 მტკიცების ტვირთის განაწილების წესი და სუბიექტები.....	10
2.2 მტკიცების ტვირთის როლი და მნიშვნელობა სამართალწარმოებაში.....	14
2.3 თვითინიციატივის აკრძალვა.....	17
2.4 შეჯიბრებითობის პრინციპის მნიშვნელობა საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში.....	22
2.5 საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმათ კონტროლი	25
III. კონსტიტუციური წარდგინება.....	30
3. 1 საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური წარდგინების უფლების გამოყენება და კონსტიტუციური წარდგინების დასაშვებობა	30
3.1.1 საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური წარდგინების უფლების გამოყენების საფუძველი.....	33
3. 1. 2 კონსტიტუციური წარდგინების წინასწარი ფორმალური შემოწმება და რეგისტრაცია..	36
3. 1. 3 წარდგინების განსახილველად მიღების გადაწყვეტილება და მომზადება	38
3.2 საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის აქტუალურობა	41
IV. მტკიცების ტვირთის განაწილება კონსტიტუციური წარდგინების განხილვისას	43
4.1 მტკიცების ტვირთი კონსტიტუციური წარდგინებისას	43
4.2 კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო პრაქტიკა.....	45
4.2.1 კონსტიტუციური წარდგინებისას მოპასუხის არ არსებობა	48
4.2.1 თვითინიცირების უფლების აკრძალვა	49
4.2.3 წარდგინების განუხილველად დატოვება.....	52
4.2.4. დამოუკიდებლად მოქმედება.....	56
4.2.4 დასაბუთების სტანდარტი	58
V. დასკვნა.....	60
ბიბლიოგრაფია	65

I. შესავალი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იცავს კონსტიტუციურ ღირებულებათა სისტემას, განმარტავს კონსტიტუციის პრინციპებსა და დებულებებს, რათა მუდმივად ცვალებადი და განვითარებადი სამართლებრივი პროცესები მოექცეს კონსტიტუციურ წესრიგში და დაცული იყოს ადამიანის უფლებები.¹ საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე ჩანს, რომ საკმაოდ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედების ფარგლები და მტკიცების ტვირთის განაწილება კონსტიტუციური წარდგინების განხილვისას.

საკონსტიტუციო სასამართლოს ვალდებულებაა, დაიცვას ადამიანის უფლებები და კონსტიტუციით გარანტირებული სხვა ღირებულებები. სწორედ, საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, ქვეყანაში არსებულ სამართლებრივი მიდგომებას, სადაც ნათლად ჩანს ის რიგი პრობლემები, რომელთა მიმოხილვაც მოხება აღნიშნულ ნაშრომში. მართლმსაჯულება ხორციელდება კანონის შესაბამისად საერთო სასამართლოების მიერ, რომელიც წარდგინებით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომ არ მოახდინოს არაკონსტიტუციური ნორმის გამოყენება სამართლებრივი დავის განხილვისას. საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკაში ნაკლებად ვხვდებით საკონსტიტუციო წარდგინების მიმართვებს. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლო არ იღებს კანონს, ფორმალური გაგებით, რადგან არ გააჩნია კანონშემოქმედებითი საქმიანობის კონსტიტუციური მანდატი, თუმცა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კანონმდებლობის სრულყოფას, დახვეწას² და თავისი გადაწყვეტილებებით ქმნის მტკიცე სამართლებრივ ნორმებს მატერიალური გაგებით.³ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული

¹ ხეცურიანი ჯ., საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამართლო, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი #1., თბილისი, 2018, 8.

² კვერენჩილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგადი თეორიული საკითხი), ადამიანი და კონსტიტუცია, #3, 2006, 41.

³ გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში : სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი ., 2012, 49.

კანონი განსაზღვრავს იმ საკითხთა ჩამონათვალს, რომლებსაც საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე“. ⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ცდილობს დაიცვას ზღვარი ნეგატიურ და პოზიტიურ კანონშემოქმედებას შორის.

არსებობს შემდეგი სახის პრობლემები: კონსტიტუციური წარდგინებისას არ გვყავს მოპასუხე, შესაბამისად არ იმართება სტანდარტული პროცესი. საერთო სასამართლოს არ უწევს რაიმეს დასაბუთება, ვინაიდან მტკიცების ტვირთი არ აწევს არავის. საკონსტიტუციო სასამართლო ერთდოულად წარმოადგენს მოპასუხეს და მოსარჩელეს, ამასთანავე წყვეტს ნორმათა კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს. საკონსტიტუციო სასამართლოს როლი ამ პროცესში ბადებს ბუნდოვანებას. საკუთარი ინიციატივით არ შეუძლია გადაკვალიფიცირება. ფაქტობრივად პრობლემურია შეჯიბრებითობის პრინციპი, დამოუკიდებლად მოქმედება, საკონსტიტუციო სასამართლო როგორც მხარე. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს საკონსტიტუციო წარდგინებითი მიმართვის გაზრდა, ვინაიდან სწორედ ერთობლივი ძალით არის შესაძლებელი, ძლიერი სამართლებრივად გამართული სახელმწიფოს შექმნა. სამართალშემოქმედებითი საქმიანობის შედეგების, კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების ხარისხის მიხედვით მსჯელობენ სახელმწიფოზე სრულად, მისი დემოკრატიულობის, ცივილიზაციის, კულტურის დონეზე, რადგანაც საზოგადოება ყოველთვის განიცდიდა ზუსტ და სრულყოფილ სამართლებრივ გადაწყვეტილებებს.⁵ გვაქვს საინტერესო პრეცედენტები, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინების მიმართვის. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტამდე სადავო ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადება უალტერნატივოდ

⁴ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხლი 19.

⁵ ლობჯანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2017, 329.

იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას. ⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ მოქმედებს თვითშეზღვევა, ხოლო სხვა სამართლებრივი შეზღვევის მექანიზმები არ ვრცელდება. საკონსტიტუციო სასამართლოს არ შეუძლია შეცვალოს კონსტიტუცია, თუმცა მას აქვს შესაძლებლობა ნორმის განმარტების ისე, რომ მოახდინოს მისი შინაარსობრივი ცვლილება. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც რთულია ზღვარის დაცვა ნორმის განმარტებასა და კანონშემოქმედებითობას შორის. ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის კონტროლი გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმის გამოყენების შინაარსის დადგენას.⁷ კვლევის მიზანია, განისაზღვროს საკონსტიტუციო სასამართლოს წარდგინების მნიშვნელობა და პრობლემური საკითხების განხილვა. ასევე, დავინახოთ საკონსტიტუციო სასამართლოს მთავრი დანიშნულება, ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის კონტროლის თვალსაზრისით. საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანაა, რომ უზრუნველყოს ქვეყანაში სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვა, სამართლის უზენაესობის დამკვიდრება და საზოგადოებაში ნდობის ამაღლება, სამართლიანი სასამართლოს მიმართ. საჭიროა სწორი პრაქტიკის ჩამოყალიბება. აუცილებლად უნდა მოხდეს იმ ძირითადი ხარვეზების გამოყოფა, რაც ცალსახად სახეზეა. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე საკითხი საკმაოდ აქტუალურია. ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოიყენებულია ნორმატიული და შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდები, მათზე დაყრდნობით მოხდება სამეცნიერო ლიტერატურის, სამართლებრივი აქტებისა და სასამართლო პრაქტიკის შესწავლა. დამუშავდება ქართული საკონსტიტუციო სასამართლოს და

⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის წარდგინება №772; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის წარდგინება №773; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 29 ივნისის წარდგინება №784; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 29 ივნისის წარდგინება №785, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 4 ივლისის წარდგინება №789, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის წარდგინება №805, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 იანვარი წარდგინება №866;

⁷ ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი., სამართლის ჟურნალი #1., თბილისი, 2017.,

საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა. შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით შეისწავლება უცხო სახელმწიფოთა წარმატებული გამოცდილება.

ნაშრომი შედგება 5 თავისგან. ყოველ თავში თანმიმდევრულად არის განხილული ის მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხები, რაც ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედების ფარგლებს და მტკიცების ტვირთის განაწილებას კონსტიტუციური წარდგინების განხილვისას.

პირველი თავი არის შესავალი, ხოლო მეხუთე თავი დასკვნა. კვლევის ძირითადი ნაწილი მოქცეულია მეორე და მეხუთე თავებს შორის.

მეორე თავში განხილულია საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედების ფარგლები სამართალწარმოებაში.

მესამე თავში საუბარია კონსტიტუციურ წარდგინებაზე.

მეოთხე თავში მოცემული მტკიცების ტვირთის განაწილება კონსტიტუციური წარდგინების განხილვისას.

II. საკონსტიტუციო სასამართლო მოქმედების ფარგლები სამართალწარმოებაში

2.1 მტკიცების ტვირთის განაწილების წესი და სუბიექტები

მართლმსაჯულების სამართლიანი განხორციელება არის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, სადაც მტკიცების ტვირთი წარმოადგენს, სამართლიანი გადაწყვეტილების განმსაზღვრელ ფაქტორს. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული სამართლიანი გადაწყვეტილებები განსაზღვრავს მართლმსაჯულების რეალურ სახეს. „სწორედ მართლმსაჯულება, როგორც სასამართლოს მთავარი, ძირითადი ფუნქცია, განაპირობებს სასამართლო ხელისუფლების სპეციფიკას და მის

ადგილს სახელმწიფომექანიზმის სისტემაში.“⁸ წმინდა ფორმალური გაგებით

კონსტიტუცია მოიცავს კანონებს, წესებს (მაგ. კონვენციები).⁹ საკონსტიტუციო სასამართლოში საქმე განიხილება კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ საქმის განხილვა მიმდინარეობს კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე, სამართალ გამოკვლევის პროცესი დამყარებულია მტკიცების ტვირთის სტანდარტულ გამოყენებაზე. საუბარია იმაზე, რომ კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას, მტკიცების ტვირთი დიდია, რასაც ვერ ვიტყვით კონსტიტუციური წარდგინებისას, ვინაიდან ამ დროს არ იმართება კლასიკური პროცესი. მტკიცების ტვირთი არ აწევს არავის, ფაქტობრივად არ ევალუა საერთო სასამართლოს დაასაბუთოს საკუთარი წარდგინება. ამ საკითხის სიღრმისეული განხილვა იქნება შემდგომ თავებში.

„სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტურის განაწილების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი განაწილებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ მხარეებს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია. მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“.¹⁰ თუ მხარემ შეასრულა საკუთარი ვალდებულება და საკმარისად დასაბუთებულად წარმოადგინა ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელზეც ამყარებს საკუთარ მოთხოვნას, მოსამართლე გადადის მტკიცების ტვირთის სტადიაზე.¹¹ სასამართლოში საქმის განხილვისას, სამართლის სუბიექტს წარმოადგენს, ყველა ის პირი ვისაც გააჩნია უფლება და მოვალეობა განსახილველი საქმის მიმართ. ქართული

⁸ მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბილისი., 2000, 16.

⁹ Carroll A., Constitutional and Administrative Law, Fourth edition, published 2007, 1.

¹⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2016 წლის 19 სექტემბრის N2/37016. განჩინება.

¹¹ ჰაგენლოხი უ., მტკიცების ტვირთი გერმანულ საპროცესო სამართალში (მოხსენება), მთარგმნელი მესხიძე ი., თბილისი, N7(2018), 4; იხ. <http://lawlibrary.info/ge/books/2018GIZ-GE-Comparative-ResearchOnus_of_Proof.pdf>

კანონმდებლობის მიხედვით, სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობენ მხარეები და მოსამართლე. მხარეებში მოიაზრებიან, მოსარჩელე, მოპასუხე და მესამე პირები. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია განისაზღვროს მტკიცების ტვირთის ზიდვის პროცესში ვის რა როლი ეკისრება. აქვე უნდა ავლნიშნოთ, რომ სასამართლოს რეალური დანიშნულებაა მართლმსაჯულების განხორციელება. მხარეებთან ერთად, თანამონაწილეებმა და მესამე პირებმა,¹² თავის წილი როლი უნდა შეასრულონ მტკიცების ტვირთის ზიდვის პროცესში. ვინაიდან წარმომადგენლები, არიან ერთგვარი შუამავლები სასამართლოსა და მხარეთა შორის და მტკიცებულებით საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობენ, წარმომადგენლებიც არიან მტკიცების სუბიექტები.¹³ იმისათვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღოს დასაბუთებული სამართლიანი გადაწყვეტილება, ერთადერთი საშვალება არის მტკიცება, რომლის მეშვეობითაც ხდება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. მტკიცების პროცესში მონაწილე სუბიექტებს ეძლევათ შესაძლებლობა მოახდინონ საკუთარი პოზიციის დაცვა, საუბარია მტკიცებულებების შეგროვებაზე და მათ სასამართლოში წარდგენაზე. საქმის განხილვისას, სამართლიანი სასამართლოს დანიშნულებაა, რომ მოახდინონ მტკიცებულებათა გამოკვლევა და სწორი შეფასება. მტკიცების ტვირთის სამართლიანი განაწილება გულისხმობს, რომ მტკიცების ტვირთი ყოველთვის ეკისრება იმას, ვინც რაიმეს ამტკიცებს, განსხვავებით მისგან ვინც უარყოფს. აუცილებელია, რომ მოდავე მხარეებმა საქმის განხილვისას წარმოადგინონ უტყუარი მტკიცებულებები, რომლითაც დამტკიცდება სარჩელში და შესაგებელში მითითებული გარემოებების სისწორე. მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის ნაწილდება იმისათვის, რომ მხარემ დაამტკიცოს მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. მტკიცება კი თავის მხრივ არის საპროცესოსამართლებრივი საქმიანობა, რომელიც გამომდინარეობს კანონიდან. მტკიცება თავისთავში მოიაზრებს მტკიცებულებებს, როგორც მტკიცების საშუალებებს.

¹² ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, (I ნაწილი), სამართალი, თბილისი, 2014, 286.

¹³ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, (მეორე გამოცემა შევსებული და გადამუშავებული), თბილისი, 2015, 254.

მტკიცებულებები თავისმხრივ ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული ერთმანეთთან და ფაქტობრივ გარემოებებთან, რათა დაადასტურონ მხარისათვის სასურველი მიზეზშედეგობრივი კავშირი, ისე რომ სასამართლოსთვის არ დარჩეს ბუნდოვანი საკითხები.¹⁴

საკონსტიტუციო სასამართლოში, კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას, მტკიცებულებების არსებობა, განაპირობებს დავაში მონაწილე მხარეებს შორის უფლებამოსილების განაწილებას, საუბარია მტკიცების ტვირთის ვალდებულებაზე. თუმცა კონსტიტუციური წარდგინების დროს, მტკიცების ტვირთი არ აწევს არავის, შესაბამისად საერთო სასამართლოს არ გააჩნია შესრულებითობა. გამოდის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უწევს შეითავსოს მოსარჩელე და მოპასუხის როლი, ასევე უწევს გადაწყვიტოს ნორმის კონსტიტუციურობა საკუთარი არგუმენტაციის საფუძველზე, მაგრამ არა აქვს უფლება საკუთარი ინიციატივით იმსჯელოს კონსტიტუციურობაზე. საუბარია იმაზე, რომ თუ საერთო სასამართლო არასწორად დააყენებს ნორმის კონსტიტუციურობის საკითხს, საკონსტიტუციო სასამართლო დამოუკიდებლად ვერ იმოქმედებს.

მხარეებისა და სასამართლოს საქმიანობა, რომელიც მიმართულია მტკიცებულებათა წარმოდგენის, შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასებისაკენ გერმანულ მტკიცებულებათა თეორიაში იწოდება მტკიცებად.¹⁵ დამტკიცების ტვირთი არის მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცებისათვის მხარეებზე განაწილებული საპროცესო სასამართლებრივი საქმიანობა, რათა მათ შეძლონ სასურველი სამართლებრივი შედეგის მიღწევა.¹⁶ როდესაც ვსაუბრობთ სამართლებრივი შედეგის მიხწევაზე, იგულისხმება მხარის პირდაპირი ვალდებულება, დავის განხილვის დროს მტკიცების ტვირთის. მხარე, რაც უფრო მყარ და სანდო მტკიცებულებებს წარუგენს სასამართლოს, მით უფრო მეტად გაამყარებს საკუთარ

¹⁴ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, (მეორე გამოცემა შევსებული და გადამუშავებული), თბილისი, 2015, 251.

¹⁵ იბ., Елисеев Н. Г., Гражданское процессуальное право зарубежных стран, М, 2004, 246.

¹⁶ ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, (I ნაწილი), სამართალი, თბილისი, 2014, 284.

პოზიციებს, რაც აისახება საბოლოო შედეგზე.¹⁷ მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის განაწილება სავალდებულოა, რადგან მოხდეს მხარის მიერ სადაო ფაქტობრივი გარემოების დამტკიცება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მხარე მტკიცების ტვირთს ვერ ზიდავს სათანადოდ, მიიღებს მისთვის არასასურველ შედეგს, ამისთვის კანონმდებლობა სასჯელს არ ადგენს, თუმცა სწორედ მტკიცება განაპირობებს სასამართლო

გადაწყვეტილებას.¹⁸ ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია, კონსტიტუციური წარდგინების განხილვა მიმდინარეობდეს ზეპირი მოსმენით, სადაც საერთო სასამართლოები ვალდებულნი იქნებიან, ამ პროცესში მონაწილეობა მიიღონ, მტკიცების ტვირთის სავალდებულო წესის დაცვით. ვინაიდან, სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი, დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება, რაც იქნება გარანტია სამართიანი სასამართლოს საქმიანობის მიმართ ნდობის ამაღლების თვალსაზრისით.

2.2 მტკიცების ტვირთის როლი და მნიშვნელობა სამართალწარმოებაში

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება განვითარებული სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომლის საქმიანობაშიც განსაკუთრებული ადგილი უკავია მტკიცების ტვირთს. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება, სწორედ მტკიცების ფორმაზეა დამოკიდებული, რაც საბოლოოდ ფაქტების დადგენაში გვეხმარება. მტკიცების საგანი კი, ერთი მხრივ (ფართო გაგებით), განისაზღვრება, როგორც სამოქალაქო პროცესის სარჩელის საფუძვლისა და შესაგებლის იურიდიული ფაქტების ერთობლიობა, რომელზედაც მიუთითებს მატერიალური სამართლის ნორმა.¹⁹ ხოლო, მეორე მხრივ (ვიწრო გაგებით), მტკიცების საგნის განსაზღვრისთვის

¹⁷ ჰაგენლოხი უ., მტკიცების ტვირთი გერმანულ საპროცესო სამართალში (მოხსენება) ი., მესხიძის თარგმანი N7, თბილისი, 2018, 18; იხ. <http://lawlibrary.info/ge/books/2018GIZ-GE-Comparative-ResearchOnus_of_Proof.pdf>

¹⁸ Carroll A., Constitutional and Administrative Law, Fourth edition published 2007,5

¹⁹ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2005, თბილისი, 212. ს.ქურდაძე, ნ.ხუნაშვილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2015, 270-272, 274.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა სარჩელში და შესაგებელში მითითებული სადავო, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები.²⁰ სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთის დანიშნულებაზე მსჯელობა აუცილებელია, რადგან სწორედ ეს განაპირობებს სამართლიან გადაწყვეტილებას. მტკიცების ტვირთი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის მნიშვნელოვანი და საყრდენი ელემენტია.

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მტკიცების საგანს წარმოადგენს სადაო მატერიალურსამართლებრივი ფაქტები. აქედან გამომდინარე, სამართალწარმოების პროცესში, მტკიცების ტვირთის შესრულებისას, მოდავე მხარეები გარკვეულ პროცესუალურ მოქმედებებს ანხორციელებენ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მტკიცების ტვირთის შეუსრულებლობისთვის სანქციებს არ ადგენს, სწორედ ამ გარემოების გამო მას ვერ განვიხილავთ, როგორც „კანონით დადგენილ ვალდებულებას“.²¹ თუმცა, მნიშვნელოვანია მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე მხარემ, მოახდინოს სწორი დასაბუთება, რათა თავიდან აირიდოს არასასურველი სამართლებრივი შედეგი.

ყოველ სამოქალაქო საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების შემეცნების ერთადერთი გზა მტკიცება წარმოადგენს და იგი განიმარტება, როგორც საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოების დადგენა.²² აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მხარის მოვალეობას არ წარმოადგენს მხოლოდ მტკიცებულებების წარდგენა. მნიშვნელოვანია, რომ წარდგენილი მტკიცებულებები შეესაბამებოდეს იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება. საუბარია, რომ იყოს კავშირი წარდგენილ მტკიცებულებასა და დასადგენ გარემოებას შორის. ასევე, მნიშვნელოვანია რომ ის საპროცესო მოქმედება, რომელსაც მხარე განახორციელებს იყოს კანონიერი.

საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტურის განაწილების სტანდარტი, რომლის მიხედვითაც მხარეებს უნდა

²⁰ გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი, 2013, 62.

²¹ Hart H. L. A, The Concept of Law, New York, 1994, 82, 84.

²² იბ ., Треушников М. К, Доказательства и Доказывание Советском Гражданском Процессе, М, 1982,

დაეკისროთ ობიექტურად შესაძლებელი ფაქტების მტკიცება. წარდგენილი მტკიცებულებები, სასამართლოსთვის არ უნდა იყოს ბუნდოვანი, ვინაიდან სწორედ მტკიცების ტვირთის საფუძველზე იღებს სასამართლო გადაწყვეტილებას.

დამტკიცების ტვირთი არის მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცებისათვის მხარეებზე განაწილებული საპროცესო სამართლებრივი საქმიანობა, რათა მათ შეძლონ სასურველი სამართლებრივი შედეგის მიღწევა.²³ მტკიცებულება, რომელიც არ ქმნის ერთმნიშვნელოვან სურათს ფაქტობრივი გარემოებების შესახებ მიიჩნევა არასაკმარის მტკიცებულებად.²⁴ მტკიცების ტვირთის როლი და მნიშვნელობა ძალზე დიდი სამართალწარმოებაში. სწორედ, მტკიცების ტვირთის საფუძველზე ახდენს სასამართლო უზრუნველყოს დარღვეული უფლების ეფექტურ დაცვა. საქმის განხილვისას, სასამართლოს დანიშნულებაა იყოს მხარეთა მომრიგებელი, ასევე მოახდინოს სწორი შეფასება, იმ სამართლებრივი საფუძვლების, რომლის მეშვეობითაც მოახდენს დავის გადაწყვეტას. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთი არის ის განმსაზღვრელი პროცესუალური საკითხი, რომლის მეშვეობითაც ხდება დარღვეული უფლების აღდგენა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება. მტკიცების ტვირთი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ელემენტს სასამართლო პროცესში. შეიძლება ვთქვათ, რომ მტკიცების ტვირთი ერთგვარი იძულებაა, რომლის შესრულებაც სავალდებულოა დარღვეული უფლების აღსადგენად და სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად. სასამართლოს გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს ის საფუძვლები, რომლითაც იხელმძღვანელა სასამართლომ,²⁵ ამ პროცესში კი დიდია მტკიცების ტვირთის დანიშნულება.

²³ ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, (I ნაწილი), სამართალი, თბილისი, 2014, 284.

²⁴ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, (მეორე გამოცემა შევსებული და გადამუშავებული), თბილისი, 2015, 260.

²⁵ ძპო, §286 (1) , Гражданское Процессуальное Уложение Германии, перевод с немецкого, 2006, 96. ²⁶ ჯავახიშვილი პ., თვითინიციატივასა და შეჯიბრებითობას შორის: ერთი გადაწყვეტილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან, თბილისი, 2017, 93.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცეს მხარეთა მკიცების ტვირთის სავალდებულო წესის დაცვა. ამისათვის კი უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება, კერძოდ გაიწეროს კანონში ის ნორმა, რომელიც დაავალდებულებს წარდგინების ავტორს, მოახდინოს მტკიცება საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგინების განხილვისას.

2.3 თვითინიციატივის აკრძალვა

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა სამართლებრივი სისტემის განვითარებაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს,²⁶ საკონსტიტუციო სასამართლო საქმეს განიხილავს, სასარჩელო მოთხოვნის საფუძველზე. სასამართლოს, არ შეუძლია გასცდეს სასარჩელო მხარის მოთხოვნას. საუბარია იმაზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თვითინიციატივით საქმის განხილვის წამოწყება არ შეუძლია.

საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს, კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს, რომლის მთავარი დანიშნულებაა, კონსტიტუციის უზენაესობით განპირობებული პრინციპების დაცვა და მათი მეშვეობით ძალაუფლების გამიჯვნა, რათა არ მოხდეს ადამიანის ძირითადი უფლებების სფეროში უხეში ჩარევა.

მოსალოდნელია მისი დარღვევა როგორც განზრახ, ისე სამართალშემოქმედების დროს გაპარული ხარვეზების გამო.²⁶ როგორც ცნობილია, საკონსტიტუციო კონტროლის დროს ხდება გასაჩივრებული აქტისა და კონსტიტუციის დებულებების შედარება/შეპირისპირება, მაგრამ როცა ეს ხერხი ცალსახა პასუხს არ იძლევა, დგება ორივე აქტის განმარტების ანუ ინტერპრეტაციის საჭიროება.²⁷ საკონსტიტუციო სასამართლოში სადაო ნორმის განხილვისას, მხარემ უნდა დაამტკიცოს, სად და რა

²⁶ შანავა ა., ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობისა და მისი გადაწყვეტილების სავალდებულობის შესახებ; კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი <http://constcentre.gov.ge/failebi/AKAKI_SHNAVA_93010.pdf>

²⁷ გეწაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნალი ადამიანი და კონსტიტუცია, №1, 1998, 26

წესით ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, განსაზღვრავს დებულებას, რომელთანაც იგი ეწინააღმდეგება ან აცხადებს, რომ საკანონმდებლო ორგანოს არ გააჩნდა მისი ამოქმედების უფლებამოსილება.²⁸ პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით ისეთ გარემოებას, როდესაც მოსარჩელე მხარე აყენებს არასწორ სამართლებრივ მოთხოვნას, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლო კანონით შებოჭილია და არ აქვს საქმის თვითინიცირების უფლება. აღნიშნული საკითხი ცალსახად პრობლემატურია, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლო უფრო ღრმა დატვირთვის მატარებელია. სწორედ, საკონსტიტუციო სასამართლოა ის მაკონტროლებელი ორგანო, რომელსაც უნდა გააჩნდეს უფლება იმსჯელოს იმ ნორმებზე რომლის უხეში დარღვევაც იწვევს, ადამიანის უფლებების სფეროში უხეშ ჩარევას. ეს არის ნიშანი იმისა, რომ კანონი არ არის სამართლებრივ პრობლემათა გადაჭრის მზა რეცეპტი.²⁹ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის განმარტებისას შეზღუდულია განსახილველი საქმის ფარგლებით და უფლებამოსილი არაა გასცდეს ამ ფარგლებს.³⁰ თუ საკონსტიტუციო სასამართლო არ გაცდება ამ ფარგლებს, არ მოახდენს საკითხის სწორი კუთხით წარმოჩენას, მაშინ დაიკარგება მისი, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს რეალური დანიშნულების ფუნქცია. ეს არ ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ უნდა ექვემდებარებოდეს გარკვეულ წილად შეზღუდვებს, პირიქით, სამართლებრივი ბოჭვა სჭირდება ყველა მაკონტროლებელ შტოს, თუმცა შეზღუდვა არ უნდა უწყობდეს ხელს, ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევას.

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური აკრძალვა ნიშნავს, რომ მას არ აქვს უფლება გააკეთოს საქმის თვითინიცირება. აქედან გამომდინარე, არ აქვს უფლება დამოუკიდებლად თავად იმსჯელოს კონსტიტუციურობაზე, ნიშნავს რომ

²⁸ Reining v. Mueller, 248 Ill. 389; City of Greenville V. Nowlan, 279 Ill. App. 311.

²⁹ გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; თბილისი, 2012, 51.

³⁰ გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; თბილისი, 2012, 50.

სხვისი დაწყებული საქმე უნდა გააგრძელოს და სხვის არგუმენტებს დაეყრდნოს. მაგალითად, თუ სათანადოდ დასაბუთებული არაა წარდგინება, საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწევს არ განიხილოს საქმე, მიუხედავად იმისა რომ შეიძლება ფიქრობდნენ რომ არაკონსტიტუციურია აღნიშნული საქმე.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ არის აღჭურვილი რეალური საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებით.³¹ საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სპეციალური ორგანოს შესახებ დოქტრინის შემუშავება კელზენის სახელს უკავშირდება. საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოებში იგი „ევროპული მოდელის“ სახელითაა ცნობილი.³² ევროპული მოდელი 1920 წლის ავსტრიის კონსტიტუციით იქნა შემოღებული. მართალია, ჩეხოსლოვაკიამ³³ ავსტრიამდე ადრე დაამკვიდრა საკონსტიტუციო კონტროლის კელზენისეული სისტემა, თუმცა მას ისეთი აღიარება არ მოუპოვებია, როგორც მის ავსტრიულ ანალოგს.³⁴

„ავსტრიული მოდელი“³⁵ შინაარსობლივად მოიაზრებდა, შექმნილიყო სპეციალური საკანონმდებლო ორგანო, რომლის მთავარი მიზანი იქნებოდა სამართლის სისტემაში, არაკონსტიტუციური მოქმედებების აღმოფხვრა და კონსტიტუციის რეალური ღირებულების დაცვა. ამ სისტემის აუცილებელი წინაპირობა იყო, რომ საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო არ უნდა ყოფილიყო საერთო სასამართლო სისტემიდან, იგი უნდა ყოფილიყო გამიჯნული და აღნიშნული უფლებამოსილება უნდა განეხორციელებინა გარე დამოუკიდებელ ორგანოს, რომლის

³¹ გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; თბილისი, 2012, 54.

³² გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; თბილისი, 2012, 21.

³³ *ib.*, Tetzlaff Th., Kelsen's Concept of Constitutional Review Accord in Europe and Asia: The Grand Justices in Taiwan, National Taiwan University Law Review, Vol. 1, No. 2, 2006, 77. ix. citireba: Paulson S. L., Constitutional Review in the United States and in Austria: Notes on the Beginning, 16; Machacek R., Verfahren Von Dem VfGH 22, 3d ed., Vienna, 1997.

³⁴ Arnold R., Constitutional Courts of Central and Eastern European Countries as a Dynamic Source of Modern Legal Studies, Tulane European & Civil Law Forum, Vol. 18, 2003, 104.

³⁵ Hausmaninger H., Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany, and Russia, Tulane European & civil law forum, vol.12, 1997, 26.

დანიშნულებაც იქნებოდა ზედამხედველობის განხორციელება. სწორედ, საკონსტიტუციო სასამართლო არის კონტროლის განმახორციელებელი ორგანო. საკონსტიტუციო სასამართლო „ძლევამოსილ“ სახელისუფლებო ინსტიტუტთა კატეგორიას განეკუთვნება,³⁶ რომელიც იცავს იმ ფუნდამენტურ პრინციპებს და ღირებულებას, რაც არის განმსაზღვრელი კონსტიტუციის ძირითადი არსის, რომლის დაცვაც უმთავრესია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის მოვალეობაა დაიცვას კონსტიტუცია, თუმცა სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობა განაპირობებს მათ მიერ საკუთარი ვალდებულებების ცოდნას³⁷.

როგორც, ზემოთ ავლნიშნეთ, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ევროპულ მოდელს ავსტრიულსაც უწოდებენ³⁸. მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან განვასხვაოთ ავსტრიული და გერმანული მოდელი, რომლებიც ერთმანეთისგან შინაარსობლივად არ განსხვავდებიან, თუმცა თვისობრივად მაინც არის განსხვავება. ევროპული მოდელის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლო შექმნილია, საერთო სასამართლოებისგან დამოუკიდებლად, რომლის ძირითადი მიზანია დაიცვას კონსტიტუცია და განახორციელოს სათანადო კონტროლი.

სასამართლო განხილვა არის ერთ – ერთი ინსტიტუციური შემოწმება გადაჭარბების საწინააღმდეგოდ ფედერალური და სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანოების მიერ.³⁹ ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლო ანხორციელებს ნორმათაკონტროლს.

გერმანული მოდელისგან განსხვავებით, იგი განიხილავს ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტის შესაბამისობას კანონთან.

³⁶ Сергеев Д. Н., Конституционное Правосудие в России: Политико-Правовое исследование, Диссертация на соискание ученой степени кандидата политических наук (На правах рукописи), Москва, 2005, 19.

³⁷ Hausmaninger H., Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia, Tulane European and Civil Law Forum, Vol. 12, 1997, 26.

³⁸ Hausmaninger H., Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia, Tulane European and Civil Law Forum, Vol. 12, 1997, 26.

³⁹ ABRAHAM J., THE JUDICIAL PROCESS: AN INTRODUCTORY ANALYSIS OF THE COURTS OF THE UNITED STATES, ENGLAND AND FRANCE. (6th ed., New York, NY: Oxford University Press, 1993), p. 314.

ავსტრიის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში, ივარაუდება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაზრდა, კერძოდ, ადამიანის უფლებების ნაწილში საერთო და ადმინისტრაციული უმაღლესი სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის დაწესება, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს სასამართლო სისტემის სათავეში მოაქცევს.⁴⁰ იმ შემთხვევაში თუ ეს ასე მოხდება, განმასხვავებელი ფაქტორი აღარ იარსებებს ავსტრია გერმანიის მოდელს შორის. გერმანული მოდელი, წარმოადგენს ავსტრიული მოდელის გაუმჯობესებულ ვარიანტს. გერმანული საკონსტიტუციო სასამართლო, სასამართლო სისტემის სათავეშია. შეიძლება ითქვას, ჰიბრიდული ბუნება გააჩნია საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოცაა და სასამართლოც⁴¹. ავსტრიის მსგავსად, მასაც მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები გააჩნია და სამოქალაქო უფლებების მტკიცე გარანტს წარმოადგენს.⁴² ძირითადი განმასხვავებელი ფაქტორი ამ ორ მოდელს შორის არის ის, რომ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს შუძლია გაასაჩივროს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, იგი უწევს ზედამხედველობას და აკონტროლებს საერთო სასამართლოების საქმიანობას, ეს კი ხაზს უსვამს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობებს. საკონსტიტუციო სასამართლოს ევროპულ მოდელს მხარს უჭერს ევროპის ბევრი მოწინავე ქვეყანა.

გერმანიის მოდელი, ითვალისწინებს თვითინიცირებას და აკონტროლებს საერთო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობას. სწორედ, მისი ჰიბრიდული ბუნებაა განმაპირობებელი ფაქტორი, რომელიც აძლევს შესაძლებლობას იყოს აღმასრულებელი მაკონტროლებელი ორგანო, რომლის მთავარი

⁴⁰ Faber R., The Austrian Constitutional Court - An Overview, Vienna Journal on International Constitutional Law, Vol. 1, 2008, 51.

⁴¹ ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 15.

⁴² Hausmaninger H., Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia, Tulane European and Civil Law Forum, Vol. 12, 1997, 30.

მიზანია დაიცვას კონსტიტუციის უზენაესობა და ის ფუნდამენტური პრინციპები, რაც განაპირობებს სამართლიანი სახელმწიფოს ღირებულებას.

ევროპაში საკონსტიტუციო სასამართლოები საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების შემოწმებას ნორმათა კონკრეტული კონტროლის ოფიციალურად გაწერილი ფუნქციის მეშვეობით ახორციელებენ, რითაც ხელს უწყობენ ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.⁴⁴ ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ჩანს, რომ საკითხი საკმაოდ აქტუალური და პრობლემურია, არ შეიძლება საქმის განუხილველად დატოვება, მხოლოდ იმის გამო რომ დასაბუთება არასათანადოა. მაშინ, როდესაც თვალნათლივ ხედავს საკონსტიტუციო მაკონტროლებელი ორგანო, რომ საქმეში მართლა დარღვეულია კონსტიტუციის ფუნდამენტური პრინციპი. საკონსტიტუციო სასამართლოს ჩართულობა, საქმის ფაქტობრივი გარემოებების კვლევის პროცესში უფრო აქტიური უნდა იყოს, რათა თავიდან ავიცილოთ იმ ღირებული ნორმების დარღვევა, რაც საფუძვლად უდევს კონსტიტუციას. საკითხი, რომ შევაჯამოთ მტკიცების ტვირთთან მიმართებით თვითინიციატივა გულისხმობს იმას, რომ უნდა ქონდეს საკონსტიტუციო სასამართლოს თვითინიციატივით დასაბუთების შესაძლებლობა. აღნიშნული რეგულაცია, უნდა გატარდეს საკანონმდებლო ფორმირების დონეზე, სადაც განისაზღვრება საკონსტიტუციო სასამართლოს თვითინიცირება.

⁴⁴ ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსების 20 წლისთავისთვის მიძღვნილი გამოცემა, თბილისი, 2016, 56–57.

2.4 შეჯიბრებითობის პრინციპის მნიშვნელობა საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია, რომ სასამართლოში სამართალწარმოება მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის

საფუძველზე⁴³ . სამართლიანი სასამართლო, უფლობრივად მოიცავს მრავალ სამართლებრივ ელემენტს, სადაც განუყოველი და ფუნდამენტური პრინციპია შეჯიბრებითობა, რომელიც მიმდინარეობს თანასწორობის პრინციპის დაცვით. ზემო აღნიშნული პრინციპის დაცვა განპირობებულია საქართველოს მოქმედი კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოება მიმდინარეობს, კონსტიტუციური სარჩელის ან საკონსტიტუციო წარდგინების საფუძველზე. კონსტიტუციური სარჩელის განხილვა მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით, ვინაიდან სახეზე გვაქვს კლასიკური პროცესი, თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით კონსტიტუციური წარდგინებისას, ვინაიდან ამ დროს არ იმართება კლასიკური პროცესი. რეალურად მოპასუხის არ არსებობა, იწვევს პრობლემას და საერთო სასამართლოს არ უწევს რაიმეს დამტკიცება. აქედან გამომდინარე ჩანს, რომ იღვევა ის მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრინციპი, რასაც შინაარსობლივად მოიაზრებს შეჯიბრებითობა.

ქართული საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი ერთმანეთთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ელემენტებია, რომელთა მიხედვითაც საპროსეცო მხარეებს აქვთ თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები, აღნიშნული კი განაპირობებს სასამართლო პროცესის სამართლიან მიმდინარეობას. ზემოაღნიშნული პრინციპების განხორციელება აუცილებელია არა მხოლოდ საქმის სწორი განხილვის უზრუნველსაყოფად, არამედ საზოგადოების დასარწმუნებლად, რომ სასამართლო სისტემა ნდობას იმსახურებს.⁴⁴ თუ ეს რეალურად მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი ფაქტორია სასამართლოს მიმართ ნდობის არსებობის, მაშინ კონსტიტუციური წარდგინების დროს ნდობის განმაპირობებელი ფაქტორი ბუნდოვანია. ამავდროულად,

⁴³ საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" , 62-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

⁴⁴ Landsman S., A Brief Survey of the Development of the Adversary System, Ohio State Law Journal, Vol. 44, 1983, 713.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებული სამართალწარმოებასა და სამართლიანი სახელმწიფოს პრინციპის გამოხატულებას შორის, ზღვარი პირობითი და განმსაზღვრელი ფაქტორია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ვალდებულია შექმნას მტკიცების წესი. ყოველივე ეს წინააღმდეგობრივია კონსტიტუციური წარდგინების დროს და ხაზს უსვამს საკანონმდებლო ხარვეზზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, განმარტებულია შეჯიბრებითობის პრინციპის არსი, რომლის მიხედვითაც მხარეებს გააჩნიათ თანაბარი შესაძლებლობები სასამართლოში საქმის წარმოებისას, სადაც აქვთ შესაძლებლობა საერთოდ უარყონ ან ნაწილობრივ გააქარწყლონ მოდავე მხარის მიერ წაყენებული მოთხოვნები. მხარეებს აქვთ შესაძლებლობა თვითონვე განსაზღვრონ ის ფაქტები, რომლებიც უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებსა და მტკიცებულებებს. ყოველი მხარე მიისწრაფვის, მოიგოს პროცესი და ამ მიზნით ცდილობს მოიძიოს და წარუდგინოს სასამართლოს ყველა ფაქტი, რაც მის სასარგებლოდ მიუთითებს და მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნების უპასუხებს.⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდეს ზემო აღნიშნულ პრინციპთა დაცვას, ვინაიდან სწორედ აღნიშნული პრინციპების დაცვით არის შესაძლებელი იმ ღირებულების შენარჩუნება, რომლის დატვირთვაც გააჩნის საკონსტიტუციო სასამართლოს. საუბარია, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით, მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასამართლო მსჯელობს საქმის ფაქტობრივ გარებობაზე, ისაუბრონ, როგორც საკუთარ, ისე მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, გაოიყენონ შესაძლებლობა რათა დაარწმუნონ სასამართლო საკუთარი არგუმენტების სისწორეში და დადგეს მათთვის სასურველი სამართლიანი შედეგი.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ შეჯიბრებითობის პრინციპია ის მნიშვნელოვანი სამართლებრივი

⁴⁵ ხოფერია ნ., შეჯიბრებითობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო სამართალში; შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა, თბილისი, 1999, 12.

განმსაზღვრელი ფაქტორი, რაც განაპირობებს სამართალწარმოების პროცესის მიმდინარეობას. ამ პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა ორივე ურთიერთდაპირისპირებული მხარის ინტერესების თანაბრად გათვალისწინება ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების დროს.⁴⁶⁴⁷ აქედან გამომდინარე, აუცილებელია კონსტიტუციური წარდგინებისას, პროცესი მიმდინარეობდეს შეჯიბრებითობის პრინციპით, ვინაიდან დაცული იყოს საპროცესო მხარეთა სამართლიანი უფლება. ასევე, მტკიცების ტვირთის სამართლებრივი ხასიათი, სწორედ შეჯიბრებითობისას ჩანს.

2.5 საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმათ კონტროლი

საკონსტიტუციო სასამართლოს როლს განსაზღვრავს, კონსტიტუციის უზენაესობის დაცვა... შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ეფუძნება, ქმნის, აღასრულებს და იცავს სამართალს“. ⁴⁸ საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის განმარტებისას არ უნდა იყოს შეზღუდული. მას უნდა ქონდეს უფლება მოახდინოს ნორმის სამართლებრივი განმარტება იმგვარად, რომ არ გვექონდეს სახეზე ფუნდამენტური სამართლებრივი პრინციპების დარღვევა, რომლის შინაარსის მატარებელიც რეალურად არის კონსტიტუციის ძირითადი კანონი. საუბარია იმაზე თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოხდება სწორ ნორმაზე მითითება მაშინ, როდესაც საერთო სასამართლომ არასწორად დააყენა ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი, ეს არ უნდა ითვლებოდეს უხეშ ჩარევად საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან.

საკანონმდებლო აქტში გადმოცემული ნორმები უმეტესად აბსტრაქტული შინაარსის შემცველია, რაც არასაკმარისია მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებისათვის.⁴⁹ ამავე დროს კონსტიტუცია ვერასოდეს იქნება დასრულებული. ⁵⁰ კონსტიტუციური მართლმსაჯულების პროცესი კონსტიტუციასთან შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობს, და არა კონსტიტუციიდან

⁴⁶ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2007, ⁴⁷.

⁴⁸ გეგენავა დ., საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება და მისი ადგილი ხელისუფლების დანაწილების კონცეფციაში, თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი I, სტატიათა კრებული, გ. კვერენჩილაძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2012, 92.

⁴⁹ დემეტრაშვილი ა., გოგიაშვილი გ., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2016, 463–464.

⁵⁰ ბლანკენაგელი ალ., გაული ვ., კონსტიტუციური მომენტები და საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ყოველდღიური ცხოვრება, ჟურნალი ადამიანი და კონსტიტუცია, №4, 2000, 253–254.

გამოსავლის სრულად ამოკითხვას.⁵¹ აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს როლი, ნორმის განმარტებისას უფრო დიდი შინაარსის დატვირთვას ატარებს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. არის შემთხვევები, როდესაც ნორმის განმარტება სირთულეებთან არის დაკავშირებული. „მიიჩნევენ, რომ სამართლებრივი ნორმების განმარტების ყველა ხერხი სასამართლო პრაქტიკის „მუხლებზე დაიბადა“.⁵² საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის განმარტებისას შეზღუდულია განსახილველი საქმის ფარგლებით და უფლებამოსილი არაა გასცდეს ამ ფარგლებს.⁵³ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას არ მიაკუთვნებს კონსტიტუციური ნორმების გამოყენების პრაქტიკის შეფასებას. თუმცა მოქალაქეები ყველაზე ხშირად აპელირებენ იმაზე, რომ მათი უფლება ამ ნორმების არასწორად გამოყენების შედეგად დაირღვა.⁵⁴

ხშირად პრაქტიკაში ბუნდოვანია, ჩვეულებრივი კანონი დაირღვა თუ კონსტიტუცია. გასათვალისწინებელია, რომ კანონის არასწორად მითითება განმაპირობებელი ფაქტორია კონსტიტუციური პრინციპის დარღვევის. ვთვლი, რომ ნებისმიერი სამართლებრივი ქმედება საკონსტიტუციო კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს.

აუცილებელია განიმიჯნოს საერთო სასამართლოებისა და კონსტიტუციური სასამართლოს უფლებამოსილებები, რის საფუძველზეც მოხდება საკონსტიტუციო სასამართლოს დანიშნულების გამოკვეთა.

საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოების მიერ წარდგინების საფუძველზე ამოწმებს სადაო ნორმის კონსტიტუციურობის საკითხს. იმ შემთხვევაში თუ ნორმა არაკონსტიტუციურია იგი მიუთითებს ამის შესახებ.

⁵¹ ქაშაკაშვილი ნ., კონსტიტუციის განმარტება და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ხედვები; სტატიათა კრებულიდან, <<https://iliauni.edu.ge/uploads/other/44/44099.pdf>>, 98.

⁵² დემეტრაშვილი ა., გოგიაშვილი გ., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2016, 464.

⁵³ გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; თბილისი, 2012, 50.

⁵⁴ ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში; თბილისი, 2007, 63.

საერთო სასამართლოების მიერ ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე თავისუფლად გადაწყვეტილების მიღება საფრთხეს შეუქმნიდა სამართლებრივ უსაფრთხოებასაც, რადგან სხვადასხვა საერთო სასამართლოს მიერ არაერთგვაროვანი განმარტებით შეუძლებელი იქნებოდა იმის გარკვევა, კანონი კონსტიტუცურია თუ არა.⁵⁵

საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი წარდგინებით მიმართვა იშვიათად ხორციელდება, და ასევე კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობა.⁵⁶ 2015 წლის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ, დ. გეგენევას სიტყვებით, „თავისი უფლებამოსილებების რევოლუცია“ მოახდინა, რითაც სრულად მოიპოვა საკანონმდებლო ორგანოს ზედამხედველი სტატუსი⁵⁷.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონკრეტული კონტროლის ფარგლებში ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობას განიხილავს აგრეთვე საერთო სასამართლოების წარდგინებების საფუძველზე.⁵⁸ პრობლემას წარმოადგენს, რომ საკონსტიტუციო წარდგინებას სასამართლო განიხილავს დაუსწრებლად. გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საკონსტიტუციო სასამართლო მსჯელობს წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მას არ აქვს უფლება საქმის თვითგამორკვევის. „ნორმის საკანონმდებლო ფორმულირება ინარჩუნებს იურიდიულ ძალას, იმ დათქმით, რომ იგი არ იქნება გამოყენებული საკონსტიტუციო სასამართლოს

⁵⁵ შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, აირის საქართველო, თბილისი, 2003, 276.

⁵⁶ ერქვანია თ., კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის ხარვეზები საქართველოში – ე.წ. რეალური საკონსტიტუციო სარჩელის საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემაში ინტეგრირების შესახებ, სტატიათა კრებული – ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში, კ.კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 46.

⁵⁷ Gegenava D., Constitutional Court of Georgia as Positive Legislator: Transformation and Modern Challenges, PolishGeorgian Law Review, Nn. 3/2017, 89.

⁵⁸ ჯავახიშვილი, პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი; სამართლის ჟურნალი, 1, 2017, თბილისი, 343.

მიერ არაკონსტიტუციურად განსაზღვრული შინაარსით“.⁵⁹ სამართლებრივი სახელმწიფოს განმსაზღვრელია,რამდენად არის დაცული კონსტიტუციით აღიარებული უფლებები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს სადაო ნორმის კონსტიტუციურობის საკითხს, ყურადღებას ამახვილებს ნორმატიულ შინაარსზეც.

როგორც კანონმდებლის, ისე სასამართლოს საქმიანობაც უნდა ეყრდნობოდეს სამართლის პრინციპებს და შესაბამისად მათი საქმიანობის ნაყოფი – ნორმატიული აქტი და სასამართლოს გადაწყვეტილება ამ პრინციპებს უნდა ემყარებოდეს.^{60 61} მნიშვნელოვანი, რომ იყოს დაცული ზღვარი ნეგატიურ და პოზიტიურ კანონშემოქმედებითობას შორის. საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციაა,გამოასწოროს კანონმდებლის მიერ არაკონსტიტუციური კანონმდებლობის მიღებით შექმნილი მდგომარეობა.⁶² ფაქტობრივად, საკონსტიტუციო სასამართლო არის დამხმარე რგოლი, რომელიც ეხმარება კანონშემოქმედ ორგანოს სწორი წესების ფორმირებაში და არასწორი კონსტიტუციური ნორმების გაუქმებაში.

საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრებისას ამოსავალი წერტილი იყო ის, რომ საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განმახორციელებელი სასამართლო, იქნებოდა ეს დამოუკიდებელი ორგანო, თუ საერთო სასამართლო, უნდა შემოფარგლულიყო სამართლებრივი საკითხების განხილვით და მაქსიმალურად შორს დაეჭირა თავი პოლიტიკისაგან.⁶² საკონსტიტუციო სასამართლოს ძალა და გავლენის ხარისხი პირველ რიგში მისი გადაწყვეტილებების იურიდიული ძალით განისაზღვრება, კერძოდ, მისი ზოგადსავალდებულო ხასიათით და მას თანაბრად უნდა

⁵⁹ ჯავახიშვილი, პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი; სამართლის ჟურნალი, 1, 2017, თბილისი, 336.

⁶⁰ ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში; თბილისი, 2007, 46. ⁶² ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 61; იხ. ციტირება: შაიო ა.,ხელისუფლების თვითშეზღუდვა კონსტიტუციონალიზმის შესავალი,თბილისი,

⁶¹ , 285.

⁶² გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; თბილისი, 2012, 19-20.

დაემორჩილონ ხელისუფლების წარმომადგენლებიც და ცალკეული ინდივიდებიც.⁶³ საკონსტიტუციო სასამართლოს პირდაპირი მოვალეობა მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება, მას არ შეუძლია გაექცეს პასუხისმგებლობას და თავი აარიდოს რთული საქმეების განხილვას. როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს მართლმსაჯულებას, ახდენს ნორმის განმარტებას, აუცილებელია დაცული იყოს ის ოქროს შუალედი, რაც ქმნის საფრთხეს სამოსამართლეო შეუზღუდავი უფლებამოსილების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

იდეურად, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება უნდა ხდებოდეს პოზიტიური ნორმების შექმნის თვალსაზრისით, თუმცა პრაქტიკაში აზრთა სხვადასხვაობაა, რომლის მიხედვითაც საკონსტიტუციო სასამართლო ზედმეტად ერევა და ითვისებს საკანონმდებლო უფლებამოსილებას, რის საფუძველზეც ჩნდება რისკი, რომ მოსამართლე შეითავსებს კანონშემოქმედის მოვალეობას. გამოსავალი, მდგომარეობს შემდეგში, რომ მოსამართლემ დაიცვას ზღვარი და არ გახდეს ნეგატიური კანონშემოქმედი. ვთვლი, რომ სასამართლო კონსტიტუციური პრინციპების დაცვით და ნორმათა განმარტებით, ხდება პოზიტიური კანონშემოქმედი და არა პირიქით.

როდესაც, კანონი არ ბადებს ბუნდოვანებას, მას არ სჭირდება განმარტება. კონტროლის ფუნქციის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კანონის ნორმის სიღრმისეულმა და ღირებულებითმა შეფასებამ შესაბამის გადაწყვეტილებას „შემოქმედებითი“ და არამხოლოდ „ნეგატიური“ სახე მისცა.⁶⁴ ⁶⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნორმის არაკონსტიტუციურობის დასაბუთების პარალელურად, სწორი წესის დასახელება უკვე პოზიტიური ნორმის მიღების ნიშანია.⁶⁶ ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა

⁶³ ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსების 20 წლისთავისთვის მიძღვნილი გამოცემა, თბილისი, 2016, 288.

⁶⁴ შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში; თბილისი,

⁶⁵ , 80.

⁶⁶ დემეტრაშვილი ა., გოგიაშვილი გ., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2016, 474.

ჩამოიშოროს ნეგატიური კანონშემოქმედის სტატუსი, ეცადოს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში არ გადააჭარბოს და დაიცვას ის პრინციპები, რაც მოსამართლის საქმიანობას ნეგატიურ ასპექტში არ წარმოაჩენს. მნიშვნელოვანია რომ მოხდეს, ჯანსაღი ღირებულებების საფუძველზე სამართლებრივი სახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნება, არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც. ამისათვის კი მნიშვნელოვანია მოხდეს, არაჯანსაღი მსჯელობის გაქრობა, რომლითაც სამოსამართლო სახელმწიფოდ გადაქცევა გვემუქრება.

„სამართალი გაცილებით მეტია, ვიდრე პარლამენტის მიერ მიღებული კანონები.“⁶⁷⁶⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივაა, რეკომენდაციების მიღება, რომელიც ექვემდებარება რომ კანონშემოქმედობით პროცესზე ზეგავლენას მოახდენს. შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოეფუძნება, ქმნის, აღასრულებს და იცავს სამართალს.⁶⁹ ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ საკონსტიტუციო უფლებამოსილება მოიცავს, როგორც პოზიტიურ ისე ნეგატიურ ვალდებულებებს. მნიშვნელოვანია, რომ ამ ვალდებულებების განსაზღვრისას, არსებობდეს გამაწონასწორებელი ზღვარი, სადაც სწორად იქნება წარმოდგენილი საკონსტიტუციო სასამართლოს დანიშნულება, როგორც მაკონტროლებელი ორგანოსი, რომელიც შინაარსობლივად განსაზღვრულ უფლებამოსილებებს პრაქტიკული თვალსაზრისითაც ასახავს თავის ქმედებებში.

III. კონსტიტუციური წარდგინება

3. 1 საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური წარდგინების უფლების გამოყენება და კონსტიტუციური წარდგინების დასაშვებობა

⁶⁷ ზოიძე ბ., მოძღვრება საკანონმდებლო კულტურის შესახებ, ჟურნალი ადამიანი და კონსტიტუცია, #1, 43.

⁶⁹ გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; თბილისი, 2012, 49.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების ერთ-ერთი ფორმაა კონსტიტუციური წარდგინება. მხოლოდ, საერთო სასამართლოებს აქვთ უფლება, მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რათა ის ნორმატიული აქტი, რომელიც სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას უნდა გამოიყენოს, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.

კონსტიტუციური წარდგინების ობიექტად მიიჩნევა ნორმა ან ნორმის ნაწილი, რომლის კონსტიტუციურობაც ეჭვქვეშ დგება საერთო სასამართლოს მიერ. ასევე, მნისვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს იმ გარემოებაზე ხაზგასმა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს სათანადო დასაბუთება საერთო სასამართლოს მიერ, სადაც გამოჩნდება, რომ ამგვარი ნორმის არსებობა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სხვაგვარ შედეგს მოახდენდა, რითაც დაირღვეოდა კონსტიტუციური უფლება.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 42-ე მუხლით, განსაზღვრულია საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლების მქონე სუბიექტი, რომელიც შეიძლება იყოს საქმის განმხილველი სასამართლო.

კონსტიტუციური წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მისი განხილვისათვის რამდენიმე მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს: 1. კონსტიტუციური წარდგინება შეიტანება მაშინ, როცა საქმე განიხილება შესაბამის სასამართლოში; 2. კონსტიტუციური წარდგინება უნდა შეიტანოს სასამართლომ; 3. კონსტიტუციური წარდგინების შეტანისას სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის განხილვა.⁷⁰ ყოველივე

⁷⁰ კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2008, 139; საქართველოს

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, როდესაც საერთო სასამართლო ანხორციელებს კონსტიტუციურ წარდგინებას, იგი ვალდებულია მოახდინოს სათანადო დასაბუთება, მოიყვანოს მტკიცებულებები, მოახდინოს განმარტება, რომლის მიხედვითაც ნორმის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურობა ეჭვგარეშე იქნება. ზოგიერთი მეცნიერი კონსტიტუციურ წარდგინებას ძირითადი უფლებების დაცვის ირიბ პროცედურად მოიხსენიებს.⁷¹ საერთო სასამართლოები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავენ კონსტიტუციური წარდგინებით, მათი მამოტივირებელი ძალა არის საჯარო ინტერესი, რათა არ დაირღვეს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები.

დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, კონსტიტუციური ღირებულებების დაცვა. საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებს შორის ურთიერთობის განსაკუთრებული ფორმაა კონსტიტუციური წარდგინება.

საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, საუბარია კონსტიტუციური წარდგინების დასაშვებობაზე, მნიშვნელოვანია წარდგინების ავტორმა მოახდინოს პრობლემის თვალსაჩინოება და სადაო ნორმის ან ნორმის ნაწილის სწორად წარმოჩენა. როდესაც, საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს კონსტიტუციურ წარდგინებას, იგი ხელმძღვანელობს განმცხადებლის მოსაზრებით, მას არ აქვს უფლება წამოჭრას თვითნებურად საკითხი და საკუთარ არგუმენტებზე დაამყაროს მსჯელობა. საკონსტიტუციო სასამართლო ეყრდნობა წარდგინების ავტორის მიერ მოყვანილ მოსაზრებებს და იწყებს მსჯელობას თუ რა შეუსაბამობაა წარდგინებაში დასახელებულ ნორმასა და კონსტიტუციით დაცულ უფლებას შორის.

ხშირ შემთხვევაში, სახეზე გვაქვს კანონის ვიწრო ფორმალური განმარტება, რაც განპირობებულია საკონსტიტუციო სასამართლოს თვითშეზღუდვით, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს თვითინიციატივის განხორციელების უფლება. იგი მთლიანად დამოკიდებულია კონსტიტუციური წარდგინების ავტორის

საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 აპრილის N1/3/99 განჩინება

⁷¹ კონსტიტუციური სამართალი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2005, 341.

დასაბუთებაზე. შესაბამისად, მთელი რიგი შეზღუდვების ფონზე, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ ახდენს კანონის ფართოდ განმარტებას. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლო არის კონტროლის განმახორციელებელი სასამართლო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობას. სწორედ საკონსტიტუციო კონტროლის მეშვეობით არის შესაძლებელი კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპის დაცვა და გამყარება.⁷²

3.1.1 საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური წარდგინების უფლების გამოყენების საფუძველი

საერთო სასამართლოების პრეროგატივაა კონსტიტუციური წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს თუ საქმის განხილვისას აღმოაჩენს, რომ კანონი ან ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს გადაწყვეტილების მისაღებად, მთლიანად ან ნაწილობრივ არაკონსტიტუციურია, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს წარდგინებით.

კონსტიტუციური წარდგინება, უნდა აკმაყოფილებდეს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომ კონსტიტუციური წარდგინება იყოს სათანადოდ დასაბუთებული საერთო სასამართლოს მიერ. ამასთან, კონსტიტუციურ სარჩელში გამოკვეთილი უნდა იყოს აშკარა და ცხადი შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის იმ დებულებას შორის, რომლებთან დაკავშირებითაც მოსარჩელე მოითხოვს სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას.⁷³ საერთო სასამართლოები საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესის უშუალო მონაწილეები ხდებიან, როდესაც საერთო სასამართლო წარდგინებით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. ასეთ დროს, კონსტიტუციური წარდგინება არის საფუძველი,

⁷² კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი (დისერტაცია), თბილისი, 2008, 20.

⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე №1/3/469 საქართველოს მოქალაქე კახაბერ კობერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2009 წლის 10 ნოემბერი.

კონკრეტული ნორმატიული აქტის შინაარსის შემოწმების და მისი შესაბამისობის დადგენის საქართველოს კონსტიტუციასთან. მნიშვნელოვანია, რომ კონსტიტუციურ წარდგინებაში გამოკვეთილი იყოს, სადა ნორმის არაკონსტიტუციურად მიჩნევის საფუძველი, ვინაიდან სწორედ სათანადო დასაბუთების მეშვეობით განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლო წარდგინებას.

„საერთო სასამართლოების საქმიანობის მიზანს მხარეებს შორის დავის გადაწყვეტა, ხოლო კონსტიტუციური კონტროლის ძირითად მიზანს - კონსტიტუციური მართლწესრიგის დაცვა და საკონსტიტუციო ნორმების დარღვევის აღკვეთა

წარმოადგენს“.⁷⁴

„კონსტიტუცია დემოკრატიულ სახელმწიფოში, წარმოადგენს უზენაეს კანონს, იგი განამტკიცებს სახელმწიფოს სამართლებრივ საფუძვლებს და ამასთანავე, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკურ გზას, მის კურსს [...] კონსტიტუციის უზენაესობის გარანტირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია [დემოკრატიული ქვეყნების მოქალაქეთათვის] და, რა თქმა უნდა, არც საქართველოა ამ მხრივ გამონაკლისი“.⁷⁵

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციურ წარდგინებით მიმართვიანობა ნაკლებია, კონსტიტუციურ სარჩელებთან შედარებით, აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთო სასამართლოები ერიდებიან საკონსტიტუციო სასამართლოსთან სამართლებრივ ურთიერთობას. პრაქტიკა მოწმობს, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ძირითადი მიმართულება სწორედ პირთა კონსტიტუციური სარჩელების განხილვაა“.⁷⁶ სინამდვილეში კი პირიქით უნდა ხდებოდეს, მნიშვნელოვანია გაიზარდოს

⁷⁴ ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი ტურავა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2016, 64.

⁷⁵ პაპუაშვილი გ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013. 11.

⁷⁶ კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში, კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2008. 21

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვიანობა, ვინაიდან სწორედ აღნიშნული განაპირობებს დემოკრატიული და სამართლიანი სახელმწიფოს ფორმირებას, სადაც მნიშვნელოვანია დაცული იყოს ადამიანის ძირითადი უფლებები. საერთო სასამართლოს მოსამართლე საქმის განხილვისას, როდესაც დაეჭვდება ნორმის არაკონსტიტუციურობაზე, დასაბუთებული წარდგინებით მიმართვს საკონსტიტუციო სასამართლოს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციური წარდგინების ობიექტი შესაძლოა იყოს, როგორც ნორმატიული აქტი, ასევე ნორმატიული აქტის ნაწილი. ასევე, სადაო ნორმატიული აქტის მნიშვნელობა თვალსაჩინო უნდა იყოს განსახილველ დავაში. „უნდა არსებობდეს ვარაუდი, რომ საეჭვო ნორმის არ არსებობის, ან მისი კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემთხვევაში, სასამართლო საქმეზე სხვაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებდა“. ⁷⁷ პრაქტიკიდან გამომდინარე ჩანს, რომ შესაძლოა არსებობდეს ნორმა, რომელიც არ იწვევდეს ერთი შეხედვით არაკონსტიტუციურობას, თუმცა კონკრეტული საქმის განხილვისას მოსამართლეს გაუჩნდეს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ნორმა კონსტიტუციასთან შეუსაბამოა, რის გამოც საჭირო გახდეს წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლს. სამართლის სისტემის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია კონსტიტუციურ წარდგინებას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს კონსტიტუციური წარდგინების უფლებამოსილების გამოყენების საფუძვლები, რათა აღდგეს დარღვეული უფლება, რომელიც კონსტიტუციით დაცულ სფეროს მიეკუთვნება. საერთო სასამართლოს მოსამართლეებს უნდა ქონდეთ ხშირი სამართლებრივი დიალოგი საკონსტიტუციო სასამართლოსთან, ამისათვის კი საჭიროა ხშირად მიმართონ წარდგინებით. შესაძლოა ითქვას, რომ საერთო სასამართლოები ირიბად ერევან საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში, როდესაც წარდგინებით მიმართავენ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოთვის წარდგინებით მიმართვა შესაძლებელია საფუძვლიანი ვარაუდის

⁷⁷ კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში, კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2008.121.

არსებობისას, როდესაც საერთო სასამართლოს ექნება რეალური ეჭვი ნორმის ან მისი ნაწილის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის თაობაზე.

3. 1. 2 კონსტიტუციური წარდგინების წინასწარი ფორმალური შემოწმება და რეგისტრაცია.

კონსტიტუციური წარდგინების განხილვასთან დაკავშირებული პროცესუალური საკითხებიდან მნიშვნელოვანი ეტაპია წარდგინების ფორმალური შემოწმება და რეგისტრაცია.

საერთო სასამართლოების მიერ წარდგინებით მიმართვის შემდგომი ეტაპია რეგისტრაცია, რომელსაც ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილი პირი. რეგისტრაციისას, ხორციელდება წარდგინების ფორმალური შემოწმება. საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო დეპარტამენტი სარჩელის/წარდგინების შეტანიდან სამი დღის ვადაში ამოწმებს წარდგენილი მასალების ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) შესაბამისობას კანონის მოთხოვნებთან. კანონის ფორმალურ მოთხოვნებთან სარჩელის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, საორგანიზაციო დეპარტამენტი უფლებამოსილია, მოსარჩელე მხარესთან, კონსტიტუციური წარდგინების ავტორებთან ან/და მათ წარმომადგენლებთან დააზუსტოს სარჩელთან დაკავშირებული საკითხები. თუ შემოწმების შედეგად ფორმალური უზუსტობები არ იქნა აღმოჩენილი ან რეგისტრაციისთვის განსაზღვრულ ვადაში არსებული უზუსტობა გამოსწორდა, საორგანიზაციო დეპარტამენტი არეგისტრირებს კონსტიტუციურ სარჩელს/წარდგინებას.⁷⁸ მაგალითად, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოში შედის წარდგინება, პირველ რიგში რეგისტრაციამდე მოწმდება მითითებული არის თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო, ასევე მოწმდება, წარდგინების შემომტანის დასახელება, მისამართი, სადაო სამართლებრივი აქტის დასახელება, მოთხოვნის არსი, ასევე, მითითებული უნდა იყოს კონსტიტუციის

⁷⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 12, (კონსოლიდირებული 06/03/2020 - 22/05/2020)

დებულება, რომელსაც ეწინააღმდეგება სადაო ნორმა და ა.შ. სწორედ, აღნიშნული მოიაზრებს ფორმალურ შემოწმებას.

კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ იგი დადგენილი ფორმით ან თუნდაც შინაარსით არ შეესაბამება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის მიერ დადგენილ მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში თუ საქმის ფორმალური შემოწმებისას აღმოჩნდება დარღვევა, რომელსაც არ აქვს არსებითი მნიშვნელობა იმ ხასიათის, რომ რეგისტრაციაზე უარის საფუძველი გახდეს, რეგისტრაცია შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლო მდივნის თანხმობის საფუძველზე, ხოლო მოსარჩელე მხარეს ეძლევა ვადა გამოასწოროს ეს დარღვევა. საუბარია 15 დღიან ვადაზე, რომლის გასვლის შემთხვევაში თუ არ გამოსწორდება ფორმალური უზუსტობა, მაშინ რეგისტრაცია გაუქმდება. სარჩელის/წარდგინების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საორგანიზაციო დეპარტამენტის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში მოსარჩელეს, წარდგინების ავტორს ან მათ წარმომადგენელს უფლება აქვთ, მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანს, რომელიც მიმართვიდან 15 დღის ვადაში წყვეტს სარჩელის/წარდგინების რეგისტრაციის საკითხს.⁷⁹ კონსტიტუციური წარდგინების ვადის ათვლა იწყება, მისი რეგისტრაციის მომენტიდან. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი სამართლებრივი დატვირთვა აქვს წარდგინების რეგისტრაციას, რომელიც შეუფერხებლად ხორციელდება თუ არ გამოვლინდა რაიმე ფორმალური დარღვევა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, როდესაც ხდება „პირობითი რეგისტრაცია“ წარდგინების, ვაწყდებით დილემას. საუბარია, რომ მოსამართლე არ არის ვადაში შეზღუდული წარდგინების განსახილველად, ეს კი საქმის განხილვას აჭიანურებს განუსაზღვრელი ვადით. იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს მყარი პრაქტიკა საჭიროა დაწესებული იყოს კონკრეტული ვადები, რის საფუძველზეც მოხდება საქმის არსებითი განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

⁷⁹ იქვე.

კარგი იქნება თუ დაინერგება ახალი პრაქტიკი, რომელზე დაყრდნობითაც, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავენ წარდგინებით და სახეზე გვექნება თუნდაც ფორმალური უზუსტობა, ეს გახდება წარდგინების რეგისტრაციაში გატარებაზე პირდაპირი უარის საფუძველი. არ უნდა მოხდეს მისი დარეგისტრირება წინასწარ, შემდგომი გამოსწორების პირობით, ვინაიდან ეს წარმოშობს ვადების განუსაზღვრელობას საქმის საბოლოო განხილვის პროცესში. წარდგინების ავტორს უნდა მიეცეს ვადა, რომლის გამოსწორების შემდგომაც მოხდება რეგისტრაცია. ყოველივე ამის კანონით განმტკიცება სავალდებულოა, რათა არ გაიწელოს საქმის შემდგომი მსვლელობა.

3. 1. 3 წარდგინების განსახილველად მიღების გადაწყვეტილება და მომზადება

სამართალწარმოების პროცესში, წარდგინების რეგისტრაციის შემდგომი ეტაპია, გადაწყვეტილების მიღება განხილვასთან დაკავშირებით. საუბარია იმაზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, უნდა განიხილოს თუ არა საერთო სასამართლოს მიერ შეტანილი წარდგინება. კანონის მიხედვით, საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსის მიერ, ხროციელდება რეგისტრირებული კონსტიტუციური წარდგინების გადაცემა საკონსტიტუციო სასამართლოს თავჯდომარესთვის, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, წარდგინიდან შვიდი დღის ვადაში, კოლეგიის განსჯად საქმეს რეზოლუციით გადასცემს ერთ-ერთ კოლეგიას, ხოლო თუ საქმე პლენუმის განსჯადია, გადასცემს პლენუმს და ნიშნავს მომხსენებელ მოსამართლეს.⁸⁰ „საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი/კოლეგია კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხს წყვეტს ზეპირი მოსმენის გარეშე „⁸⁰

⁸⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 13, (კონსოლიდირებული 06/03/2020 - 22/05/2020)

⁸⁰ კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში : კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი ., თბილისი, 2008, 223.

თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე შემოსული კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სამართალწარმოებით გათვალისწინებული წესით, საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიებს შორის განაწილებისას მივა დასაბუთებულ დასკვნამდე, რომ განსახილველმა საქმემ თავისი შინაარსით შეიძლება წარმოშვას საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათი ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემა, იგი, კონსტიტუციური სარჩელის გადაცემიდან 7 დღის ვადაში, მიმართავს პლენუმს წერილობით დასაბუთებული წინადადებით საქმის პლენუმის მიერ განხილვის შესახებ. პლენუმი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წინადადების მიღებიდან 2 კვირის ვადაში წყვეტს თავმჯდომარის მიერ წარდგენილი საქმის პლენუმის მიერ განხილვის საკითხს, რომლის შესახებაც იღებს, შესაბამისად, საოქმო ჩანაწერს ან განჩინებას. განჩინების მიღების შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე საქმეს განსახილველად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადასცემს ერთ-ერთ კოლეგიას.⁸¹ თუ საკონსტიტუციო სასამართლო აღმოაჩენს, რომ წარდგინება არ არის დასაბუთებული სათანადოდ საერთო სასამართლოს მიერ, ეს გახდება საფუძველი უარის თქმის, ვინაიდან არ აქვს უფლება საკონსტიტუციო სასამართლოს მიუთითოს ან რაიმე შესწორება შეიტანოს წარდგინებაში. ეს საკითხი საკმაოდ პრობლემატურია და მას კიდევ შევხებით შემდგომ ქვეთავებში.

კანონმდებლობის მიხედვით, კონსტიტუციური წარდგინების შესახებ გადაწყვეტილების მიღება მიმდინარეობს განმწესრიგებელ სხდომაზე, რომლის ჩატარებაც შესაძლებელია, როგორც ზეპირი მოსმენით ასევე მის გარეშეც.

თუ მიღებულია საოქმო ჩანაწერი ზეპირი მოსმენის ჩატარების შესახებ, განმწესრიგებელი სხდომა იმართება ზეპირი მოსმენით, რაც იმას ნიშნავს, რომ

⁸¹ საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 13 (კონსოლიდირებული 06/03/2020 - 22/05/2020)

სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე მოიწვევს მოსარჩელეს, წარდგინების ავტორს ან მათ წარომადგენელს.⁸²

განმწესრიგებელი სხდომა მსჯელობს კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღების საკითხზე, სადაც საუბარია იმაზე, რომ წარდგინება არ მიიღება განსახილველად თუ აღმოჩნდება მისი ფორმალური ან შინაარსობლივი შეუსაბამობა კანონით განსაზღვრული მოთხოვნების. საუბარია იმგვარ მოთხოვნებზე, რომელთა დაცვაც განაპირობებს კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღებას. კონსტიტუციური წარდგინების ავტორი ვალდებულია დაიცვას კანონით განსაზღვრული მოთხოვნები, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის არასასურველი შედეგი დადგება. პრაქტიკიდან გამომდინარე ხშირად ვაწყდებით, კონსტიტუციური წარდგინებისას შეცდომებს. ამაზე უფრო ვრცლად ვისაუბრებთ შემდგომ თავში, სადაც უშუალოდ საკონსტიტუციო პრაქტიკას განვიხილავთ.

პლენუმი წყვეტს კონსტიტუციური წარდგინების საკითხს ღია კენჭისყრით, სათათბირო ოთახში, სადაც მოსამართლე წარუდგენთ საოქმო ჩანაწერს. მოსამართლე, რომელიც არის საქმისწარმოების პროცესში ჩართული, უფლება აქვს მოითხოვოს ცვლილების ან რაიმე დამატების განხორციელება საოქმო ჩანაწერში. ცვლილება ჩაითვლება მიღებულად, თუ საჭირო ხმათა უმრავლესობას მოიპოვებს, მხოლოდ ამის შემდეგ ეყრება კენჭი, განხორციელებული ცვლილების დამატებით მომხსენებელი მოსამართლის მიერ გაკეთებულ საოქმო ჩანაწერს ან შესაძლოა ეს იყოს განჩინების პროექტი.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ჩანს, რომ პროცესუალურად საკმაოდ დიდი დატვირთვა აქვს კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღების საკითხს, ასევე მნიშვნელოვანი ეტაპია, კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მომზადება.

⁸² კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში : კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი ., თბილისი, 2008, 224.

კონსტიტუციური წარდგინების მომზადების ეტაპზე, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოსამართლეს, რომელიც არის მომხსენებელი და პროცესის მთავარი მონაწილე. მოხსენებელ მოსამართლეზეა დამოკიდებული მთელი პროცესი, ვინაიდან წარდგინების ავტორის გარდა, პროცესში მონაწილე სხვა მხარე არ გვყავს. აქედან გამომდინარე მოსამართლეს უწევს, არკვიოს და იმსჯელოს სადაო ნორმის კონსტიტუციურობის საკითხზე. ამ პროცესუალურ პრობლემასთან დაკავშირებით, უფრო ვრცლად შემდგომ თავში ვისაუბრებთ, რომელიც განმტკიცებული იქნება არგუმენტირებულად სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით.

3.2 საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის აქტუალურობა

ქართული საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საერთო სასამართლო მიმართვიანობა კონსტიტუციური წარდგინებით ნაკლებია და ძირითადად საქმისწარმოების პროცესი ხორციელდება საკონსტიტუციო სარჩელის განხილვით. თუ გავითვალისწინებთ არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს, ცალსახაა, რომ საერთო სასამართლოები ერიდებიან საკონსტიტუციო სასამართლოსთან ურთიერთობას. ნაკლებად არიან ჩართულები ნორმის არაკონსტიტუციურობის დადგენაში, როცა პირიქით უნდა ხდებოდეს და ერთობლივი ძალით მიისწრაფოდენ სამართლებრივი სისტემის განმტკიცებისკენ. წარდგინებების რაოდენობა მუთითებს, რომ საერთო სასამართლოები ნორმის არაკონსტიტუციურად გამოცხადების მიმართვიანობის კუთხით თავს არიდებენ საკონსტიტუციო სასამართლოსთან ხშირ კომუნიკაციას.

ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტური სამართლებრივი საშუალებების შექმნის აუცილებლობაზე მრავალი საერთაშორისო⁸³ ხელშეკრულებაში და დოკუმენტშია ასახული. „სამართლიანი სასამართლოს უფლება, პირველ რიგში, ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა იმ გადაწყვეტილების (ქმედების) სასამართლოში გასაჩივრებას

⁸³ მაგალითად, იხილეთ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950, მუხლი 13.

და სამართლებრივ შეფასებას, რომელიც ადამიანის უფლებებს არღვევს“.⁸⁴ ზოგადად, სასამართლო სისტემა დაფუძნებულია კონსტიტუციის პრინციპის დაცვაზე, ამის მიუხედავად, როდესაც საუბარია ნორმის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურობაზე, საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს იმ ერთადერთ მაკონტროლებელ ორგანოს, რომელსაც აქვს უფლება გააუქმოს სადაო ნორმა.

ამდენად, უფლება სამართლიან სასამართლოზე გულისხმობს, როგორც დამოუკიდებელ მიუკერძოებელ და სამართლიან მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას, ასევე მართლმსაჯულების ეფექტიანობას. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო, რეგიონალური და ეროვნული კონსტიტუციური აქტები, ხშირ შემთხვევაში, სახელდებით მიუთითებენ ხსენებული უფლების დაცვის ეფექტიანი მექანიზმების არსებობის აუცილებლობაზე.⁸⁵ სასამართლო სისტემა ვალდებულია უზრუნველყოს და მოახდინოს, მყიფიერი რეაგირება არაკონსტიტუციური კანონის გამოყენების აღსაკვეცად. სასამართლომ ასეთი შემთხვევების პრევენცია უნდა მოახდინოს. მნიშვნელოვანია ხაზგასმა, რომ მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები, რომლებიც კანონის საფუძველზე იღებენ სამართლიან გადაწყვეტილებებს. სამართლიანი გადაწყვეტილება, პირდაპირ კავშირშია კონსტიტუციურ პრინციპებთან და იმ ღირებულებებთან, რასაც ემსახურება კონსტიტუციური კანონი.

„კონსტიტუცია არა მხოლოდ აღიარებს და იცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, არამედ განსაზღვრავს მათ შინაარსსა და მოცულობას. შესაბამისად, კონსტიტუციური უფლება არსებობს კანონის მიერ მისი აღიარების, დეკლარირების გარეშეც, ის არსებობასა და მოქმედებას განაგრძობს მაშინაც, როდესაც კანონმდებლობით ამ უფლების რეალიზაციის საფუძველები არ არის განსაზღვრული“.⁸⁶

⁸⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-14.

⁸⁵ იხ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხლი 34, წინადადება 2.

⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის №1/494 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-11.

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვიანობის გაზრდა მნიშვნელოვანია, მყარი სამართლებრივი პრაქტიკის ჩამოყალიბების კუთხით. ეფექტური შედეგის მისაღებად, მნიშვნელოვანია, რომ საერთო სასამართლოები ჩართულნი იყვნენ მუდმივ მოქმედ ციკლში, რაც მიზნად ისახავს არაკონსტიტუციური კანონის გაუქმებას და ადამიანის ძირითადი უფლების სფეროში უხეში დარღვევების თავიდან აცილებას. მნიშვნელოვანია, რომ საერთო სასამართლოები და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის იყოს ხშირი დიალოგი, რათა ერთობლივი ძალებით მოახდინონ დარღვეული უფლების აღდგენა და კონსტიტუციური ღირებულების დაცვა. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ, კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვიანობის გაზრდით.

IV. მტკიცების ტვირთის განაწილება კონსტიტუციური წარდგინების განხილვისას

4.1 მტკიცების ტვირთი კონსტიტუციური წარდგინებისას

ქართული საკონსტიტუციო სასამართლო საქმისწარმოებას ახორციელებს, როგორც უკვე ვისაუბრეთ, კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე. ჩვენი განსახილველი თემაა კონსტიტუციური წარდგინება, რომელზეც განაცხადი შეაქვთ საერთო სასამართლოებს. როგორც წინა თავებში ვახსენეთ, კონსტიტუციური წარდგინებისას, საქმის განხილვა მიმდინარეობს არასტანდარტულად. აქცენტი კეთდება იმ გარემოებაზე, რომ არ იმართება კლასიკური პროცესი. რეალურად პროცესზე არ არსებობს მოპასუხე მხარე, აქედან გამომდინარე საერთო სასამართლოს არ უწევს რაიმეს დამტკიცება. კონსტიტუციური წარდგინებისას შეტანილი სარჩელი არ ივსება კლასიკური ფორმით. როდესაც, საერთო სასამართლოს მოსამართლე საქმის განხილვისას დაეჭვდება რაიმეში, იგი მიმართავს მოტივირებული განჩინებით საკონსტიტუციო სასამართლოს.

სასამართლოს საქმიანობაში ყველაზე რთული საქმიანობა არის წანამძღვრების დადგენა და მათი ზუსტი გამიჯვნა. უნდა განისაზღვროს, ერთი მხრივ, მატერიალური სამართლის შესაბამისი ნორმა და, მეორე მხრივ, შესაფასებელი შემთხვევის ფაქტობრივი

გარემოებები. საბოლოო ჯამში, სამართლის შემფარდებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთება დამოკიდებულია მტკიცების პროცესისადმი საპროცესო და მატერიალური კანონმდებლობით ზუსტად განსაზღვრული მიდგომით.⁸⁷ სტანდარტული პროცესის მიმდინარეობისას, საუბარია კონსტიტუციურ სარჩელის განხილვაზე, საკონსტიტუციო სამართალწარმოების დროს, მონაწილე მხარეებს თანაბარი უფლებით სარგებლობენ. შეუძლიათ გაეცნონ საქმის მასალებს, მოიპოვონ ასლები, რაც ყველაზე მთავარია მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულების შეგროვებაში და შემდგომ, მათზე დაყრდნობით დასვან კითხვები. ასევე, საქმისწარმოების პროცესში მხარეებს შეუძლიათ საკუთარი დასკვნებისა და მოსაზრებების გამოთქმა. ნებისმიერი ინსტანციის სასამართლო საქმის განხილვისას ხელმძღვანელობს, ძირითად უფლებებზე დაყრდნობით, საუბარია იმაზე, რომ არ დაირღვეს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები და პრინციპები, რაც არის გარანტია სამართლებრივი სახელმწიფოსი.

პრაქტიკიდან გამომდინარე ჩანს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს უწევს შეითავსოს მოპასუხის და მოსარჩელის როლი, როდესაც მას მიმართავენ კონსტიტუციური წარდგინებით. წარდგინების განხილვისას, ვინაიდან არ გვაქვს სტანდარტული პროცესი, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს უწევს იმსჯელოს მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულების საფუძველზე, მას რეალური მოპასუხე მხარე არ გააჩნია. ასევე არ აქვს უფლება, მიუთითოს წარდგინებაში ნორმის არასწორად შეფარდებაზე. ეს ითვლება უხეშ ჩარევად, ფაქტობრივად თვითშეზღუდვასთან გვაქვს საქმე. ნათლად ჩანს საკანონმდებლო ხარვეზი, რომლის აღმოფხვრაც მნიშვნელოვანია და საჭიროა ახალი პრაქტიკის დანერგვა, სადაც სასამართლოს ექნება ნორმაზე მითითების უფლება. სწორედ, საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივაა კონსტიტუციური ნორმის შინაარსის განსაზღვრა და მის

⁸⁷ გაგუა ი., მკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, რედაქტორი ზურაბ ძლიერიძვილი, თბილისი 2013. 11.

სიღრმეებში ჩასვლა, ვინაიდან ნორმის უბრალო ინტერპრეტაციით არ ხდება კონსტიტუციური ღირებულების დაცვა. ხშირად საჭიროა სამართლებრივი ნორმის საფუძვლიანი განმარტება, ვინაიდან სწორედ სადავო ნორმის ბუნდოვანება იწვევს მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას. ასეთი ნორმის განსაზღვრაზეა დამოკიდებული კონკრეტულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების ბედი. „საკონსტიტუციო სასამართლოს სიძლიერე დამოკიდებულია მისი განმარტებების დამაჯერებლობაზე, მის „სამართლებრივ არგუმენტაციაზე.“⁸⁸ საკონსტიტუციო წარდგინების ბოლო რამდენიმე გადაწყვეტილებაში, სასამართლომ იმსჯელა საკუთარ უფლებამოსილებაზე, საქმის განხილვისას რამდენად შევიდეს სიღრმეში. ერთ-ერთ საქმეში მუხლებიც შეცვალა, თუმცა უკვე ორგანულ კანონთან მოდიოდა წინააღმდეგობაში. დღეისთვის არსებული სასამართლო პრაქტიკა, საკმაოდ მწირია კონსტიტუციური წარდგინების თვალსაზრისით, თუმცა არსებული საქმეებიდან შეგვიძლია მოვახდინოთ მსჯელობის ფორმულირება იმგვარად, რომ დავინახოთ სისტემური პრობლემათა ჯაჭვი.

4.2 კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო პრაქტიკა

საერთო სასამართლოების მიერ, კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვიანობის თვალსაზრისით, საკონსტიტუციო პრაქტიკის საწყისად შეიძლება

⁸⁸ ჰერმან შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, 2003 წ. 376;

მივიჩნიოთ, 2015 წლის გადაწყვეტილება, სადაც მსჯელობის საგანი იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმების კონსტიტუციურობა, რომლებიც სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს ართმევდა შესაძლებლობას, გასცდნოდნენ სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს მაშინ, როდესაც ამას მოითხოვდა პასუხისმგებლობის გამაუქმებელი კანონის უკუპალითგამოყენებისა და ორმაგი

მსჯავრდების აკრძალვის საკონსტიტუციო პრინციპები.⁸⁸ აღნიშნული გადაწყვეტილება, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იყო წინ გადადგმული ნაჯიბი. სწორედ ამ გადაწყვეტილებაში ისაუბრა საკონსტიტუციო სასამართლომ, თანასწორობის პრინციპზე, შეჯიბრებითობის პრინციპზე და ზოგადად განმარტა კონსტიტუციური წარდგინების სამართლებრივი ხასიათი. სწორედ, ეს გადაწყვეტილებაა, რომელმაც მოახდინა ახალი სამართლებრივი პრაქტიკის ჩამოყალიბება და ერთმანეთისგან გამიჯნა კონსტიტუციური წარდგინება და კონსტიტუციო სარჩელი.

„ამა თუ იმ უფლებით სრულად სარგებლობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი გარანტია ზუსტად მისი სასამართლოში დაცვის შესაძლებლობაა. თუკი არ იქნება უფლების დარღვევის თავიდან აცილების ან დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობა, სამართლებრივი ბერკეტი, თავად უფლებით სარგებლობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ“.⁸⁹ ბოლო დროს, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვიანობამ, საერთო სასამართლოების მიერ იმატა. აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ კონსტიტუცია შინაარსობლივად მოიაზრებს იმას, რასაც პრაქტიკაში ვახორციელებთ, აქედან გამომდინარე ხაზგასასმელია, რომ სწორედ საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკიდან ვლინდება, ნორმის ნამდვილი ძირეული, სიღრმისეული განმარტება. კონსტიტუცია დროსთან ერთად უნდა განვითარდეს, იგულისხმება, რომ კონკრეტული ნორმის შინაარსობლივი განსაზღვრა განვითარებად უწყვეტ პროცესს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც იქნება ადამიანის უფლებების დაცვის სადარაჯოზე. საქართველოს კონსტიტუცია დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისა და ფუნქციონირების მყარ სამართლებრივ საფუძვლებს აყალიბებს. კონსტიტუციის უპირატესი მიზნის –

⁸⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II, 1.

⁸⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N1/466 „საქართველოს სახალხო დამცველი პარლამენტის წინააღმდეგ“, 2010 წლის 28 ივნისი. პარაგრაფი II-14.

ხელისუფლების თვითშეზღუდვის – მისაღწევად მნიშვნელოვანია კონსტიტუციის ძირითადი პრინციპებისა და ღირებულებების სწორად გააზრება, იმის შეცნობა, რომ პიროვნება არის კონსტიტუციის უმაღლესი ფასეულობა. საქართველოს კონსტიტუციის ნორმების სწორად გაგება სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნის საშუალებას იძლევა, რაც პიროვნების პატივისა და ღირსების შეუქცევად დაცვას უზრუნველყოფს.⁹⁰ სამართალი, კონკრეტულად კი კონსტიტუცია, როგორც ქვეყნის უზენაესი კანონი, გარკვეულ ღირებულებებს ეფუძნება. ღირებულებები წარმოადგენს შეხედულებებს, რომელთა თანახმად, რაღაც (იქნება ეს იდეა, თუ მატერიალური საგანი) ფასდება როგორც კარგი ან ღირებული.⁹² ზოგადად, სამართალი და, კონკრეტულად, კონსტიტუცია, შეფასებებზეა დამყარებული; შეფასებები კი გარკვეული ღირებულებებით ხორციელდება.⁹² პრაქტიკაში, საერთო სასამართლოების მიერი კონსტიტუციურ წარდგინების მიმართვიანობა არც თუ ისე დიდია. ამის რიგი მიზეზები არსებობს, რომლებიც კომპლექსურად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. შემდგომ ქვეთავებში განვიხილავთ ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხს, რაც კონსტიტუციური წარდგინებისას თავს იჩენს და საჭიროებს სათანადო სამართლებრივ რეგულირებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სამართალწარმოების პრაქტიკით არაერთხელ განმარტა ის უფლებრივი კომპონენტები, რომლებიც დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის (მოქმედი რედაქციის 31-ე მუხლი) პირველი და მე-3 პუნქტებით. კერძოდ, „დაცვის უფლების არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირს, რომლის მიმართაც გარკვეული პროცესუალური ზომები ტარდება, უნდა გააჩნდეს შესაბამის პროცედურასა და მის შედეგზე ეფექტური ზეგავლენის მოხდენის

⁹⁰ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, 5.

⁹¹ Kraft, Die Grundlagen einer wissenschaftlichen Wertlehre, 2. Aufl., 1951, S. 10 f.; Henkel, Einführung in die Rechtsphilosophie, 2. Aufl., 1977, S. 326 ff.

⁹² Unruh, Der Verfassungsbegriff des Grundgesetzes, 2002, S. 547 f.

შესაძლებლობა“.⁹³ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. აღნიშნული ნორმა ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. სამართლიანი სასამართლოს, სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებას კი დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი კომპონენტია. სასამართლოს ხელმისაწვდომობის მნიშვნელობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა თავის გადაწყვეტილებებში. კერძოდ:⁹⁴ „სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება ინდივიდის უფლებების და თავისუფლებების დაცვის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა. ის ინსტრუმენტული უფლებაა, რომელიც ... წარმოადგენს სხვა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებას.“⁹⁶ საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკა წარდგინებით მიმართვიანობის კუთხით არც თუ ისე მდიდარია, თუმცა შემდგომ ქვეთავებში განვიხილავ ყველა იმ პრობლემურ ასპექტს, რაც თან ახლავს ამ პროცესს.

4.2.1 კონსტიტუციური წარდგინებისას მოპასუხის არ არსებობა

როდესაც, საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს კონსტიტუციურ წარდგინებას, მას უწევს იხელმძღვანელოს წარდგინების ავტორის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ამ პროცესში არ არსებობს მოპასუხე მხარე, განსხვავებით სტანდარტული პროცესისა, სადაც მოსარჩელე მხარეს ყავს მოპასუხე და ხდება, წარდგენილი მტკიცებულებების გაქარწყლება,საპასუხო მტკიცებულებებით. პროცესი არ იმართება კლასიკური წესით და გამოდის, რომ საკონსტიტუციო

⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/2/503,513 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-55).

⁹⁴ თბილისის საქალაქო სასამართლო 2018 წლის 18 სექტემბერი კონსტიტუციური წარდგინება #1352. ⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება #1/3/421,422 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 1.

სასამართლო ითავებს, როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის ფუნქციას. მას უწევს იმსჯელოს წარდგინებაში მოყვანილი მტკიცებულების საფუძველზე და დაიცვას სამართლიანობა ისე, რომ არ ჩაერიოს უხეშა და არ მიუთითოს წარდგინების ავტორს, იმ შემთხვევაში თუ სადაო ნორმა არასწორად აქვს დაყენებული.

სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რაც გულისხმობს პროცესის ორივე მხარის თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას. ასევე შეჯიბრებითობის პრინციპი, რაც უზრუნველყოფს თითოეული მხარის უფლებას, წარუდგინოს სასამართლოს საკუთარი არგუმენტაცია, ფაქტები და მტკიცებულებები, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში და ჰქონდეს ნებისმიერ პროცედურაზე ზეგავლენის მოხდენის რეალური შესაძლებლობა.⁹⁵ თვალსაჩინოა, რომ პრობლემა გვაქვს, შეჯიბრებითობის პრინციპთან, რომელიც წარმოადგენს მთავარ ფუნქციას პროცესის მსვლელობისას. შეჯიბრებითობისას ხდება, იმ მტკიცებულებების გაქარწყლება, რომელიც შესაძლოა არასწორად წარმოაჩინა მოდავე მხარემ. თუ სასამართლო პროცესი არ განხორციელდება შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე, გამოდის რომ უკვე დაირღვა კონსტიტუციით გარანტირებული უფლება. საკითხი პრობლემურია და საჭიროებს, საკანონმდებლო რეფორმირებას.

ზოგადად სამართლიანი სასამართლოს უფლება ორგვარად შეიძლება იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც დანაშაულის კონტროლი, რომელიც ძირითად აქცენტს აკეთებს მართლმსაჯულების შედეგზე და როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულება, რომელიც საპროცესო მართლმსაჯულების კონცეფციას წარმოადგენს.⁹⁶

4.2.1 თვითინიცირების უფლების აკრძალვა

საკონსტიტუციო სასამართლო საქმისწარმოების პროცესში არის შეზღუდული. მას არ აქვს უფლება, მოახდინოს საქმის თვითინიცირება. საუბარია იმაზე, რომ საერთო

⁹⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 30 ივნისის კონსტიტუციური წარდგინება, N1520.

⁹⁶ თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 იანვრის წარდგინება, N1478.

სასამართლოების მიერ გაკეთებული წარდგინებისას, თუ დაყენებული იქნება სადაო ნორმა არასწორად, საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს უფლება მიუთითოს ამის თაობაზე წარდგინების ავტორს. ის შეზღუდული თვითინიცირებით. საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო,⁹⁷ ხოლო მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები.⁹⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს, უნდა მიმართოს საერთო სასამართლოებმა, საუბარია უფლებამოსილ სუბიექტზე, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს თვითინიცირების უფლება არ გააჩნია.

პრაქტიკაში გვაქვს შემთხვევები, როდესაც საკითხი მართლაც არაკონსტიტუციურია, თუმცა დაყენებულია არასწორი ნორმა. საკონსტიტუციო სასამართლოს კი არ აქვს ამ ნორმაზე მითითების უფლება. დილემაა სამართლებრივი პრინციპის დაცვის თვალსაზრისით. ვინაიდან, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს არ ექნება უფლება მიუთითოს წარდგინების ავტორს, ნორმის არაკონსტიტუციურობაზე და სწორი ნორმის დაყენების თაობაზე, გამოდის ირღვევა ის სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც ემსახურება კონსტიტუცია.

„კონსტიტუციით აღიარებული სამართლიანი სასამართლოს უფლება არსებობს სწორედ კონსტიტუციით დამკვიდრებულ ინსტიტუციურ სისტემაში. კერძოდ, უფლება სამართლიან სასამართლოზე არ არის აბსტრაქტული და მოიაზრებს უფლების დაცვის შესაძლებლობას კონსტიტუციის ინსტიტუციური სისტემით განსაზღვრული სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მეშვეობით, კონსტიტუციაში მოცემული ინსტიტუციური მოთხოვნების გათვალისწინებით“.⁹⁹ კანონით პირდაპირ არ არის არსად განსაზღვრული, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა მოახდინოს მუხლებს შორის კოლიზია, მაგრამ მას გააჩნია თვითშეზღუდვა. ეს კი ხაზს უსვამს მის უფლებაზე, რომ მიიღოს გადაწყვეტილება ნორმის არაკონსტიტუციურობის თაობაზე.

⁹⁷ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 59.2,

⁹⁸ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 59.3,

⁹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,790,792 გადაწყვეტილება, II-68.

საკონსტიტუციო სასამართლო, როდესაც მიიჩნევს სადაო ნორმის არაკონსტიტუციურობას, აღნისნული ნორმა დაკარგავს იურიდიულ ძალას.

სამართლიანი სასამართლო შინაარსობლივად მოიაზრებს, რომ დაცული იყოს იმ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც ემსახურება საერთო პრინციპს და ღირებულებას, რაც გამოიხატება კონსტიტუციის დაცვაში და კონტროლის განხორციელებაში, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, ხოლო აღნიშნული კონტროლი კი შესაძლებელია განხორციელდეს ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის

მეშვეობით.¹⁰⁰ ბოლო წლების პრაქტიკის ანალიზი მიუთითებს, რომ საერთო სასამართლოების მოსამართლეები არ იყენებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმასა და ნორმატიულ შინაარსს, ამავდროულად, ხშირია საერთო სასამართლოს მოსამართლეების მიერ გადაწყვეტილებების დასაბუთებისას, კანონმდებლობის ცალკეული დებულებების განმარტებისას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტების გამოყენების¹⁰¹ საერთო სასამართლოები არ შეიძლება, მოქმედებდნენ კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ, თუმცა, კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენა, ხოლო შეუსაბამობის გამო მისი გაუქმება, მხოლოდ კონსტიტუციური კონტროლის

¹⁰⁰ ი.ს.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება II-97.

¹⁰¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის შემდეგი გადაწყვეტილებები/განჩინებები: 2019 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს809-805(3კ-17); 2019 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე №ბს-847(2კ-18); 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს829(კ-18); 2019 წლის 21 თებერვლის განჩინება საქმეზე №ბს-92- 1(გან-19); 2019 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-590-590(კ-18); 2019 წლის 4 ივლისის განჩინება საქმეზე №ბს-493(2კ-19); 2019 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-866-862(კ17); 2019 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-1020(კ-18); 2019 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-1104(კ-18); 2019 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-286-286(კ-18); 2019 წლის 28 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ბს-504-501(კ-17). საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის შემდეგი განჩინებები: 2019 წლის 5 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-723-2019; 2019 წლის 5 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-452-2019; 2019 წლის 9 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-1050-2019. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის შემდეგი განჩინებები: 2019 წლის 16 იანვრის განჩინება საქმეზე №2კ-448აპ.-18, 2019 წლის 25 მარტის განჩინება საქმეზე №2კ-560აპ.-18.

განმახორციელებელი ორგანოს კომპეტენციაა.¹⁰² ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სწორედ, საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, განმარტოს კონსტიტუცია და მიუთითოს სავალდებულო კონსტიტუციურ სტანდარტებზე, რომელთა დაცვითაც ხდება ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვა სამართლიან სახელმწიფოში.

4.2.3 წარდგინების განუხილველად დატოვება

როდესაც, საკონსტიტუციო სასამართლოში შედის წარდგინება, პირველ რიგში მოწმდება თუ რამდენად არის დაცული ფორმალური და მატერიალური მოთხოვნები. საკონსტიტუციო სასამართლო წარდგინებას განუხილველად ტოვებს იმ შემთხვევაში თუ წარდგინება შემოიტანა არაუფლებამოსილმა პირმა, დაუსაბუთებელია და ა.შ ამაზე უკვე ვისაუბრეთ წინა თავებში.

საერთო სასამართლოების მიერ გაკეთებულ წარდგინებისას თუ დარღვეულია სტანდარტი, რომლის მიხედვითაც ხდება კონსტიტუციური წარდგინების განხილვა, საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ წარდგინებას განუხილველად დატოვებს. პრაქტიკაში გვაქვს შემთხვევები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ წარდგინება განუხილველად დატოვა. მაგალითად, თუ საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.¹⁰³

¹⁰² იხ. Hans Kelsen, *Judicial Review of Legislation: A Comparative Study of the Austrian and the American Constitution*, *The Journal of Politics* Vol. 4, No. 2 (May, 1942), Published by: The University of Chicago Press on behalf of the Southern Political Science Association. 185-186.

¹⁰³ საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" „25-ე მუხლის 4¹ პუნქტის მიხედვით.

მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ საქმე, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა „სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება - გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნისთვის უკანონო შეძენა-შენახვის გამო“.¹⁰⁴

2016 წლის იანვრის თვეში, უზენაესმა სასამართლომ სამი წარდგინებით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს, სადაც საუბარი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე არაკონსტიტუციურად გამოცხადებულ ნორმაზე.¹⁰⁵ უზენაესი სასამართლოს წარდგინებებში არაკონსტიტუციურ ნორმად ითხოვდნენ ეცნოთ სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი, საუბარია იმ მუხლზე რაც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად.

კონსტიტუციურ წარდგინებებთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრებული ნორმა, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსად, ითვალისწინებს გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნებისთვის შეძენა/შენახვის გამო პასუხისმგებლობას თავისუფლების აღკვეთის სახით. სხვაობა სადავო და არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმებს შორის არის მხოლოდ ამ ნარკოტიკული საშუალების ოდენობაში და, შესაბამისად, მისი შეძენა/შენახვისთვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმეში. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა ითვალისწინებდა უფრო დიდი ოდენობით გამომშრალი მარიხუანის

¹⁰⁴ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 2015 წლის 24 ოქტომბრის, N1/4/592.

¹⁰⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს , 2016 წლის 4 იანვრის წარდგინება N708, საქართველოს უზენაესი სასამართლოს , 2016 წლის 4 იანვრის წარდგინება N709, საქართველოს უზენაესი სასამართლოს , 2016 წლის 5 იანვრის წარდგინება N710;

შეძენა/შენახვისთვის (70 გრამამდე) და, შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსით უფრო მძიმე კრიმინალურ ქმედებად მიჩნეული დანაშაულისთვის პასუხისმგებლობას თავისუფლების აღკვეთის სახით. მაშასადამე, სასამართლომ 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის ნებისმიერი ოდენობისთვის (0,1დან 70გ-მდე) თავისუფლების აღკვეთა ზოგადად (არა მხოლოდ სადავო ნორმით გათვალისწინებული 7-14 წლამდე, არამედ ერთი დღითაც კი) როგორც სასჯელი, არაკონსტიტუციურად მიიჩნია, ვინაიდან არ არსებობს საფუძველი ასეთი ქმედებისთვის თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის გამოყენებისთვის.¹⁰⁶

საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის, არ იყო გაუგებარი, რომ არსებული ნორმები იყო არაკონსტიტუციური, თუმცა მან მიიჩნია, რომ იგი უფლებამოსილი არ იყო, უარი ეთქვა მოქმედი (თუნდაც აშკარად არაკონსტიტუციური) კანონის გამოყენებაზე, თითოეულ განსახილველ სისხლის სამართლის საქმეზე, წარდგინებით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს, და მოითხოვა სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობა.¹⁰⁷

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, უზენაესი სასამართლოს წარდგინებები არ მიიღო არსებითად განსახილველად. წარდგინებაში მითითებული სადავო ნორმა კი ძალადაკარგულად გამოაცხადა განჩინების გამოქვეყნებისთანავე.¹⁰⁸ სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კომუნიკაცია საერთო სასამართლოებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის

¹⁰⁶ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, 2016 წლის 26 თებერვლის განჩინება საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარდგინებაზე N708; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, 2016 წლის 26 თებერვლის განჩინება საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარდგინებაზე N709; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, 2016 წლის 26 თებერვლის განჩინება საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარდგინებაზე N710;

¹⁰⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 1 თებერვლის წარდგინება N869, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 იანვრის წარდგინება N866, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 30 დეკემბრის წარდგინება N865, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 8 ნოემბრის წარდგინება N856, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 15 სექტემბრის წარდგინება N830, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 9 აგვისტოს წარდგინება N819, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის წარდგინება N 807, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 ივლისის წარდგინება N800;

არ არის სათანადო, ვინაიდან ნორმა რომლის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვდა უზენაესი სასამართლო, უკვე არაკონსტიტუციურად იყო აღიარებული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. ყოველივე ეს კი იმფორმირებულობის არასათანადო მეთოდზე მიუთითებს. საკონსტიტუციო სასამართლოს არ უნდა უწევდეს მსჯელობა და დროის დაკარგვა უკვე განხილულ ნორმაზე. ასევე, თავის მხრივ დროს არ უნდა კარგავდეს საერთო სასამართლო ისეთი ნორმების არაკონსტიტუციურად დაყენებაზე, რაზეც უკვე ნამსჯელი აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს და გადაწყვეტილებაც მიღებულია.

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტამდე სადავო ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადება უალტერნატივოდ იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ შეწყვიტა საქმე №772, 773, 784, 785, 789, 805 და 866 კონსტიტუციურ წარდგინებებზე.¹⁰⁹

2019 წლის 30 აპრილის შემდგომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში მოიძებნება განჩინებები, რომლებითაც უზენაესმა სასამართლომ გააუქმა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, იმის მიუხედავად, რომ ამ საფუძვლით გადაწყვეტილების გაუქმების დამდგენი საკანონმდებლო ნორმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად არის ცნობილი.¹¹⁰ საკონსტიტუციო

¹⁰⁸ იქვე.

¹⁰⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის წარდგინება №772; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის წარდგინება №773, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 29 ივნისის წარდგინება № 784, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 29 ივნისის წარდგინება №785, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 4 ივლისის წარდგინება № 789, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის წარდგინება №805, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 იანვარის წარდგინება №866;

¹¹⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 7 მაისის განჩინება საქმეზე №ა-1225-ა-3-2019, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის პირველი ივლისის განჩინება საქმეზე №ა-1378-ა-4-2019.

სასამართლოსა და საერთო სასამართლო სისტემას შორის მჭიდრო კავშირი უნდა იყოს. იმფორმაციული ვაკუუმი არ უნდა შეიქმნას მათ ირგვლივ, ვინაიდან საერთო ღირებულებას ემსახურებიან და ერთობლივი ძალებით არის შესაძლებელი სამართლიანი სასამართლო სისტემის შექმნა და გაუმჯობესება.

4.2.4. დამოუკიდებლად მოქმედება

როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდულია და საქმის თვითინიცირების უფლება არ აქვს. ფაქტობრივად, როდესაც დამოუკიდებლად მოქმედების უფლებას ვახსენებთ, საუბარია, რომ საქმისწარმოების პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს უწევს დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები წარდგინების ავტორის მიერ გაკეთებული მტკიცებულებების დაყრდნობით. პრობლემა ცალსახაა. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს არ ექნება უფლება დამოუკიდებლად მოახდინოს მტკიცებულებათა კვლევა და მიუთითოს საერთო სასამართლოს არასათანადოდ დაყენებულ ნორმაზე, მაშინ გამოდის, რომ მას არ აქვს დამოუკიდებლად მოქმედების უფლება. რამდენად გამართლებულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც არის უმაღლესი ორგანო და ახორციელებს ნორმათ კონტროლს, არ ქონდეს უფლება იმსჯელოს საქმეში არასწორად დაყენებულ ნორმაზე, მოახდინოს სწორი ნორმის მითითება და მისი შინაარსობლივი განმარტება.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ერთი შეხედვით ნორმა არ არის არაკონსტიტუციური, თუმცა მისი გამოყენება იწვევს იმ სამართლებრივი სიკეთის დარღვევას რასაც კონსტიტუცია უნდა იცავდეს. აქ უკვე მივდივართ იმ აზრამდე, რომ კონსტიტუციით დადგენილ ნორმათა შინაარსობრივი განმარტება და მისი როგორც, ცოცხალი ორგანიზმის მუდმივ ცირკულაციაში ყოფნა მნიშვნელოვანია. თუ კონსტიტუციით დადგენილი ნორმა არღვევს ადამიანის უფლებებით დაცულ სფეროში შემავალ მნიშვნელოვან ღირებულებას, უნდა მოხდეს ასეთი ნორმის გაუქმება ან შეცვლა. სასასამართლო პრაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო,

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობა.¹¹¹ აღნიშნულ საქმეში, საკონსტიტუციო სასამართლომ მსჯელობა განავითარა, პირის სასჯელის არა ფორმალურად დაკისრების კუთხით, არამედ დამსახურებიდან გამომდინარე. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ როდესაც ქმედების დანაშაულებრიობის გაუქმება ხდება იმის გამო, რომ აღნიშნული ქმედება საზოგადოებაში აღარ აღიქმება საზოგადოებრივად საშიშ ქმედებად, ანუ ხდება ქმედების დეკრიმინალიზაცია, წარსულში ამ ქმედების ჩამდენი პირის დასჯის ინტერესი აღარ არსებობს. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, მიუხედავად იმისა, რომ სადავო ნორმა სასჯელის მოხდისგან ათავისუფლებდა პირს, იქიდან გამომდინარე, რომ მის მიმართ ხდებოდა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა და შესაბამისი სასჯელის დანიშვნა, იგი იწვევდა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თანმდევი ისეთი ცალკეული იძულებითი ღონისძიებებისა თუ სამართლებრივი შედეგების დადგომას, რომლებიც მის მდგომარეობას აუარესებდა.¹¹² საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა ცნო არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად.

საინტერესო იქნებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის უფრო სიღრმისეული განმარტება და ახალი სტანდარტის დანერგვისკენ კიდევ ერთი ნაბიჯით წინ წასვლა. თუმცა ის ფაქტი, რომ წარდგინებებმა იმატა და საერთო სასამართლოები ასე თუ ისე ცდილობენ კომუნიკაციას საკონსტიტუციო სასამართლოსთან, უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია სამართლიანია სასამართლოს სისტემის თვალსაზრისით. საკონსტიტუციო სასამართლო უნდა იყოს ადგილი, სადაც მოხდება კანონის

¹¹¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 მარტის წარდგინება №633; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 11 მარტის წარდგინება №634;

¹¹² იქვე.

შინაარსობლივი იმგვარი განმარტება, რაც გაფანტავს ყოველგვარ ბუნდოვანებას. აუცილებელია წარდგინების განხილვისას საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან მსჯელობითი ანალიზის გაზრდა. არ შეიძლება წარდგინება იყოს მცირე მოცულობის და შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ნორმის ინტერპრეტაციით. აუცილებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ განავითაროს მსჯელობა სიღრმისეულად, ვინაიდან სწორე ის წარმოადგენს მაკონტროლებელ ორგანოს და ყოველი ახალი საკონსტიტუციო გადაწყვეტილება, უკვე ახალი გაუმჯობესებული პრაქტიკის წინგადადგმული ნაბიჯი უნდა იყოს. სამწუხაროდ ამ ეტაპზე ეს ასე არაა. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ამ პრობლემური ჯაჭვის სწორი ანალი და ახალი საკანონმდებლო პრაქტიკის დანერგვა, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება სავალდებულო ხასიათის იქნება არ მხოლოდ, ფორმალურად, არამედ პრაქტიკულადაც.

4.2.4 დასაბუთების სტანდარტი

ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მართლმსაჯულება ხორციელდება საერთო სასამართლოს მიერ, რომლის პირდაპირი მოვალეობაა უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვა და არაკონსტიტუციური ნორმების აღმოფხვრას შეუწყოს ხელი. ამ პროცესში საერთო სასამართლოები მონაწილეობენ კონსტიტუციური წარდგინების მეშვეობით, სადაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია დასაბუთების საკითხი.

„სამართლიანი სასამართლოს უფლება, პირველ რიგში, ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა იმ გადაწყვეტილების (ქმედების) სასამართლოში გასაჩივრებას და სამართლებრივ შეფასებას, რომელიც ადამიანის უფლებებს არღვევს“. ¹¹³ საკონსტიტუციო წარდგინებისას, მტკიცების ტვირთი არ აწევს არავის. საერთო სასამართლოს არ აქვს ვალდებულება დაასაბუთოს საკუთარი წარდგინება. საქმის განხილვის პროცესში, როგორც კი დაეჭვდება საერთო სასამართლო ნორმის

¹¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-14.

არაკონსტიტუციურობაში, მაშინვე მოტივირებულ გადაწყვეტილებას უგზავნის საკონსტიტუციო სასამართლოს, ხოლო შემდგომი პროცესუალური საკითხი მთლიანად საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივაა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია საქმე მართლაც არაკონსტიტუციური იყოს, მაგრამ არ იყოს მოტივირებულად დასაბუთებული საერთო სასამართლოს მიერ.

„კონსტიტუციით აღიარებული სამართლიანი სასამართლოს უფლება არსებობს სწორედ კონსტიტუციით დამკვიდრებულ ინსტიტუციურ სისტემაში. კერძოდ, უფლება სამართლიან სასამართლოზე არ არის აბსტრაქტული და მოიაზრებს უფლების დაცვის შესაძლებლობას კონსტიტუციის ინსტიტუციური სისტემით განსაზღვრული სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მეშვეობით, კონსტიტუციაში მოცემული ინსტიტუციური მოთხოვნების გათვალისწინებით“.¹¹⁴ საკონსტიტუციო სასამართლოზე თვითშეზღუდვის პრინციპი მოქმედებს, რაზეც

წინა თავებში ვისაუბრეთ. ეს კი არის ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი, მისი უფლებამოსილების განხორციელების თვალსაზრისით. არის შემთხვევები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო ხვდება რომ საქმე არაკონსტიტუციურია, მაგრამ არ აქვს ამაზე მითითების უფლება და ამის გამო, საქმეს განუხილველად ტოვებს. აქ კი უკვე ირღვევა კონსტიტუციით გარანტირებული უფლება, რაზეც მთელი ნაშრომის განმავლობაში ვსაუბრობთ.

საკანონმდებლო პრაქტიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ხარვეზია, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო ხედავს საქმის არაკონსტიტუციურობას და რეაგირებას არ ახდენს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს კანონში სათანადაც ცვლილება, რის საფუძველზეც კანონში საერთო სასამართლოებს მოუწევთ დაასაბუთონ საკუთარი წარდგინება სათანადად, ხოლო ამის შემდგომ იმსჯელებს საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის არაკონსტიტუციურობაზე. საერთო

¹¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,790,792 გადაწყვეტილება, II-68

სასამართლოებმა უნდა იგრძნონ პასუხისმგებლობა კონსტიტუციური კანონის დაცვის კუთხით. არ უნდა მიუდგენ საკითხს ისე, რომ ამის კონტროლი მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს მოვალეობაა. საერთო ძალებით მიიღწევა სრულყოფილი სამართლიანი სისტემის ჩამოყალიბება.

V. დასკვნა

ნაშრომი ეხებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედების ფარგლებს და მტკიცების ტვირთის განაწილებას კონსტიტუციური წარდგინების განხილვისას. ნაშრომში წინაპლანზეა წამოწეული რიგი პრობლემები, მაგალითად, როდესაც კონსტიტუციური წარდგინებისას არ გვყავს მოპასუხე მხარე, შესაბამისად არ გვაქვს შესრულებითობა. მტკიცების ტვირთი არ აწევს არავის, გამოდის საერთო სასამართლოს არ უწევს დაასაბუთოს საკუთარი წარდგინება. ასევე, ბუნდოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს როლი, როგორც მხარე სამართალწარმოებაში. თვითინიცირების უფლების არ ქონა და ა.შ თავდაპირველი მსჯელობა იწყება, საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედების ფარგლებით, სადაც საუბარია მტკიცების ტვირთის განაწილების წესზე და სუბიექტებზე. ნათელი ხდება, რომ მტკიცების ტვირთს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამართალწარმოების პროცესში, ვინაიდან სასამართლოში საქმისწარმოებისას, მართლმსაჯულების განხორციელება სრულიად დამოკიდებულია მტკიცების ტვირთზე, თუმცა კონსტიტუციური წარდგინების დროს ვაწყდებით წინააღმდეგობას, რადგან მტკიცების ტვირთი არ აწევს არავის, ასევე არ არსებობს დასაბუთებითობის ვალდებულება. გარდაუვალი ფაქტორია, რომ სწორედ სამართლებრივი გადაწყვეტილებაა პირდაპირ კავშირში მტკიცების ტვირთთან. სწორედ მტკიცების ტვირთია ის განმსაზღვრელი ფაქტორი, რომლის მეშვეობითაც ხდება სამართლიანობის აღდგენა. ასევე, პრობლემას წარმოადგენს შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევა, რომელიც პირდაპირ კავშირშია პროცესის მსვლელობისას პირთა თანასწორობის. კონსტიტუციური წარდგინებისას კი საკონსტიტუციო სასამართლოს

უწევს თვითონ შეითავსოს და განახორციელოს, როგორც მოსარჩელე ისე მოპასუხის როლი. სამართალწარმოებისას მხარის არ არსებობა, წარდგინების განხილვისას იწვევს მთელი რიგირი პრობლემების ჯაჭვს, რომელიც ერთმანეთთან კომპლექსურად არიან დაკავშირებული.

რამდენად გამართლებულია, საკონსტიტუციო სასამართლომ თვითონ ამტკიცოს და თვითონვე განსაზღვროს ნორმის კონსტიტუციურობა, მაშინ როდესაც საკუთარი ინიციატივით არ შეუძლია საქმის თვითინიცირება. კიდევ ერთ მნისვნელოვან საკითხს შევხებით, რაც ასევე მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს პროცესულურად. როდესაც საუბარია თვითინიცირების უფლების არ ქონაზე, ცალსახაა რომ საქმე არაკონსტიტუციურია, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლო შეზოქილია და ვერ ახერხებს სწორი მსვლელობა მისცეს საქმეს, რათა დარღვეული უფლება აღადგინოს და შესარულოს მისი, როგორც მაკონტროლებელი ორგანოს რეალური დანიშნულება. ამ მხრივ უფრო განვითარებულია და სწორ პრაქტიკას ახორციელებს გერმანია, რომელიც აკონტროლებს საერთო სასამართლოებს და თვითინიცირების უფლებაც აქვს, ვინაიდან სწორედ ამ გზით იცავს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს. კარგი იქნება თუ ჩვენც მივბაძავთ და დავნერგავთ გერმანული მოდელის პრაქტიკას, ქართულ საკონსტიტუციო სასამართლოში. პრობლემა ნამდვილად არის, რომლის სამართლებრივი სისტემატიზაცია უნდა მოხდეს.

საკონსტიტუციო სასამართლოს სტატუსი და გავლენა პირდაპირ კავშირშია მის კომპეტენციასთან, განახორციელოს კონსტიტუციის განმარტება.¹¹⁵ სწორედ, საკონსტიტუციო სასამართლოს, მოვალეობაა ნორმათ კონტროლის განხორციელება. პრაქტიკიდან გამომდინარე, ზოგჯერ ჩნდება კითხვისნიშანი, საუბარია საკონსტიტუციო სასამართლოს როლზე სამართალშემოქმედების პროცესში. თუმცა მაინც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს დამხმარე ორგანოს, რომელიც ეხმარება კანონშემოქმედს კონსტიტუციური ღირებულებების დაცვაში.

¹¹⁵ ხუბუა გ., საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც კონსტიტუციური ორგანო; საიუბილეო კრებული: გურამ ნაჭყებია – 75, თბილისი, 2016, 464–465.

საკონსტიტუციო სასამართლოს პირდაპირი მოვალეობაა განახორციელოს ნორმათ კონტროლი და მის საფუძველზე მოახდინოს შინაარსობლივი განმარტება. პრაქტიკიდან გამომდინარე ჩანს, რომ თავს არიდებს ნორმათა სიღრმისეულ განმარტებას. შემოიფარგლება, დეფინიციით და ერიდება სიღრმეებში შესვლას. სინამდვილეში კი საკონსტიტუციო სასამართლოს რეალური დანიშნულება, სწორედ რომ ნორმის არაპირდაპირი და სიღრმისეული განმარტებაა. საკონსტიტუციო სასამართლო უნდა ეცადოს, რომ არ გადააჭარბოს უფლებამოსილებას და შინარჩუნოს პირობითი ზღვარი კანონშემოქედებითობის თვალსაზრისით. ამით ის მოიშორებს, როგორც ნეგატიური კანონშემომქმედის სახელს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია ვთქვათ, რომ მყარი და სტაბილური სამართლებრივი წესრიგი უფლების დაცულობას მნიშვნელოვნად განაპირობებს და თუ ეს უფლებები კანონმდებლის მხრიდან საეჭვო გახდება, სამართლებრივ უსაფრთხოებასაც გამოეცლება საფუძველი.¹¹⁶ კვლევამ დაგვანახა, რომ კონსტიტუციური წარდგინება საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილია საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში. მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს კონსტიტუციური წარდგინებების როლი ქვეყანაში, რათა საკანონმდებლო პრაქტიკა იყოს მყარი და სტაბილური. საკონსტიტუციო სასამართლოს, არ უნდა უწევდეს დროის დაკარგვა და საუბარი, უკვე არაკონსტიტუციურად გამოცხადებულ ნორმებზე. მნიშვნელოვანია, რომ საერთო სასამართლოებმა აიღონ თავის წილი პასუხისმგებლობა და საკონსტიტუციო სასამართლოსთან ერთად შექმნან სტაბილური სამართლიანი სისტემა. პრაქტიკიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საერთო სასამართლოები ერიდებიან საკონსტიტუციო სასამართლოსთან დიალოგს. ეს კი იწვევს არასწორ კომუნიკაციას, რის შედეგადაც სახეზე გვაქვს საერთო სასამართლოების მიერ უკვე არაკონსტიტუციურად აღიარებული ნორმების გამოყენება. სამართლიანი სასამართლო სისტემის განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია კონსტიტუციური წარდგინების როლის გაზრდა და მისი შინაარსის სწორად გაგება.

¹¹⁶ ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში; თბილისი, 2007, 40.

უნდა დაინერგოს ახალი სასამართლო პრაქტიკა, რომლის მეშვეობითაც მივიღებთ მყარ, გამართულ სასამართლო სისტემას. სადაც, საზოგადოების ნდობა მაღალი იქნება. გვერდს ვერ ავუვლით და უნდა ვახსენოთ, რომ პროცესუალურად საკმაოდ მნიშვნელოვანია კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღების საკითხი, ასევე კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მომზადება. სამართლებრივი ნორმები, რომელიც დაცულია კონსტიტუციით, მოიცავს ყველა სფეროსა და სუბიექტს. საკონსტიტუციო სასამართლოს კი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამ პროცესში. აღნიშნულ ნაშრომში გამოიკვეთა, საკონსტიტუციო სასამართლოს კონტროლის განხორციელების ფარგლები და მისი როლი სამართალშემოქმედებით პროცესში. აქტუალურ საკითხს წარმოადგენს, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაზრდა და მყარი სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბება. საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე ჩანს, რომ გადაწყვეტილებას, რომელსაც იღებს საკონსტიტუციო სასამართლო ერთპიროვნულად მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, საკანონმდებლო ნორმებზე, რომელთა შეუსრულებლობაც იწვევს კონსტიტუციით აღიარებული უფლების დარღვევას. ნაშრომიდან ირკვევა, რომ საკონსტიტუციო გადაწყვეტილების შესრულებითობას სავალდებულო ძალა უნდა გააჩნდეს.

ყოველივე ზემოთ თქმული, რომ შევაჯამოთ, შეგვიძლია შემდეგი დასკვნის გამოტანა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არის არა მხოლოდ დაწერილი ნორმების სადარაჯოზე მდგომი, არამედ მას აქვს უფრო სიღრმისეული დატვირთვა, რის საფუძველზეც იგი არის ნორმის განმმარტებელი. როდესაც, საუბარია, რომ საერთო სასამართლოს ნებისმიერ დროს შეუძლია გაუგზავნოს წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლოს, ნორმის კონსტიტუციურობის დასადგენად, მაშინ საკანონმდებლო სისტემაში უნდა დაემატოს ცვლილება, რომ აუცილებლად დასაბუთებული უნდა იყოს სათანადოდ ეს წარდგინება. ასევე, მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს თვითშემოქმედებითობის გაზრდა, კონსტიტუციური წარდგინების განხილვისას, ვინაიდან უფრო ეფექტიანი სასამართლო სისტემა მივიღოთ. მტკიცების ტვირთის, როლი საკონსტიტუციო წარდგინებისას ერთ-ერთი იმ მნიშვნელოვანი პროცესუალური

საკითხთაგანია, სადაც ჩანს საკონსტიტუციო სასამართლოს რეალური სახე. ასევე, სწორედ, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებათა ერთობლიობა უნდა ქმნიდეს ჯანსაღ სამართლებრივ სისტემას, სადაც დაცული იქნება ადამიანის ღირებულებები და კონსტიტუციური უზენაესობა.

საქართველოს კონსტიტუციაში აუცილებელ და გარდაუვალ წინაპირობას წარმოადგენს, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების განსაზღვრა, მტკიცების ტვირთის განაწილების მნიშვნელობის წამოწევა კონსტიტუციური წარდგინებისას. თვითინიცირების უფლების შესაძლებლობა, როდესაც დაინახავს, რომ საქმე არაკონსტიტუციურია, სათანადო რეაგირების განხორციელება უნდა შეძლოს, სწორ ნორმაზე მითითებით. ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს, ნორმატიული შინაარსის ფართო განმარტების საშვალეა უნდა მიეცეს და მისი თვითშეზღვევა არ უნდა გვაძლევდეს იმის თქმის საშვალეას, რომ დაირღვა ის ძირითადი უფლება, რის სადარაჯოზეც კონსტიტუცია დგას. უნდა გაიწეროს ყველა ის ეტაპი, რისი მეშვეობითაც მოხდება ყველა ბარიერის დანგრევა, რაც ხელს უშლის საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოს შორის კომუნიკაციას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია და გარდაუვალია ამ პროცესში, უნდა შეიცვალოს კონსტიტუციური წარდგინების ფორმა და სტანდარტი. კერძოდ, საუბარია, რომ უნდა მოხდეს საქმის ზეპირი განხილვა, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მხარეები და ჩატარდება კლსიკური პროცესი. ამით გაქრება იმ პრობლემათა ჯაჭვი, რაც ზემოთ უკვე განვიხილეთ. საუბარია, რომ აღარ დაირღვევა შეჯიბრებითობის პრინციპი. გვეყოლება მხარე, რომელსაც შეეძლება დასაბუთებული მტკიცებულების წარდგენა, რის საფუძველზეც საკონსტიტუციო სასამართლოს მოეხსნება თვითშეზღვევა და თავისუფლად იმსჯელებს საქმის არაკონსტიტუციურობაზე. აღარ მოუწევს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქმისწარმოების პროცესში, წარმოდგენილი იყოს როგორც მხარე.

თუ მოხდება იმ რეკომენდაციების გათვალისწინება, რაზეც უკვე ზემოთ ვისაუბრეთ, , შესაძლებელია, რომ ყველა არსებული პრობლემა რაც თავს იჩენს წარდგინების განხილვისას, მოექცეს საკანონმდებლო ჩარჩოებში. საკანონმდებლო

სისტემატიზაცია არის წარმატებული ნაბიჯი, სამართლიანი და სტაბილური სასამართლო სისტემის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა :

1. ბლანკენაგელი ალ., გაული ვ., კონსტიტუციური მომენტები და საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ყოველდღიური ცხოვრება, ჟურნალი ადამიანი და კონსტიტუცია, №4, 2000.,
2. გეწაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნალი ადამიანი და კონსტიტუცია, №1, 1998.,
3. გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; თბილისი, 2012. .,
4. გეგენავა დ., საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება და მისი ადგილი ხელისუფლების დანაწილების კონცეფციაში, თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი I, სტატიათა კრებული, გ. კვერენჩხილადისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2012.,
5. გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები, თბილისი, 2018.,
6. გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი 2013.,
7. დემეტრაშვილი ა., გოგიაშვილი გ., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2016.,
8. ერქვანია თ., კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის ხარვეზები საქართველოში – ე.წ. რეალური საკონსტიტუციო სარჩელის საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემაში ინტეგრირების შესახებ, სტატიათა კრებული –

- ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში, კ.კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2017.,
9. ზოიძე ბ., მოძღვრება საკანონმდებლო კულტურის შესახებ, ჟურნალი, ადამიანი და კონსტიტუცია, #1, 2006.,
10. ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში; თბილისი, 2007.,
11. კვერენჩილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგადი თეორიული საკითხი), ადამიანი და კონსტიტუცია, თბილისი 2006.,
12. კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი (დისერტაცია), თბილისი, 2008.,
13. ლობჯანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2017.
14. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005.,
15. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2007.,
16. ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, (I ნაწილი), თბილისი, 2014.,
17. მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბილისი, 2000.,
18. პაპუაშვილი გ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013.,
19. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013.,

20. ტურავა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2016.,
21. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, (მეორე გამოცემა შევსებული და გადამუშავებული), თბილისი, 2015.,
22. მკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, რედაქტორი ზურაბ ძლიერიშვილი, თბილისი, 2013.,
23. შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, თბილისი, 2003.,
24. შვარცი პ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში; თბილისი, 2003.,
25. ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001.,
26. ხუბუა გ., საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც კონსტიტუციური ორგანო; საიუბილეო კრებული: გურამ ნაჭყებია – 75, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2016.,
27. ხოფერია ნ., შეჯიბრებითობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო სამართალში; შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა, თბილისი, 1999.,
28. ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსების 20 წლისთავისთვის მიძღვნილი გამოცემა, თბილისი, 2016.,
29. ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი., სამართლის ჟურნალი #1., 2017.,
30. ჰაგენლოხი უ., მტკიცების ტვირთი გერმანულ საპროცესო სამართალში (მოხსენება) მთარგმნელი მესხიძე ი., თბილისი, N7(2018).,

31. ჰერმან შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, 2003.,
32. Arnold R., Constitutional Courts of Central and Eastern European Countries as a Dynamic Source of Modern Legal Studies, Tulane European & Civil Law Forum, Vol. 18, 2003.,
33. Abraham J., the judicial process : an interoductory analysis of the courts of the united states, England and france. (6th ed., New York, NY: Oxford University Press, 1993),.
34. Cartoll A., Constitutional and Administrative Law, Fourth edition published 2007.,
35. Gegenava D., Constitutional Court of Georgia as Positive Legislator: Transformation and Modern Challenges, PolishGeorgian Law Review, Nn. 3/2017.,
36. Faber R., The Austrian Constitutional Court - An Overview, Vienna Journal on International Constitutional Law, Vol. 1, 2008.,
37. Hart H. L. A, The Concept of Law, New York, 1994.,
38. Hausmaninger H., Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany, and Russia, Tulane European & civil law forum, 1997.,
39. Hans Kelsen, Judicial Review of Legislation: A Comparative Study of the Austrian and the American Constitution, The Journal of Politics Vol. 4, No. 2 (1942), Published by: The University of Chicago Press on behalf of the Southern Political Science Association.,
40. Hagenloch U., Die Beweislast im Deutschen Zivilprozess, Translator Meskhidze I., (GIZ), 2018.,
41. Kraft, Die Grundlagen einer wissenschaftlichen Wertlehre, 2. Aufl., 1951, S. 10 f.; Henkel, Einführung in die Rechtsphilosophie, 2. Aufl., 1977, S. 326 ff.,
42. Landsman S., A Brief Survey of the Development of the Adversary System, Ohio State Law Journal, Vol. 44,1983;
43. Paulson S. L., Constitutional Review in the United Stated and in Austria: Notes on the Beginning, 16; Machacek R., Verfahren Von Dem VFGH 22, 3d ed., Vienna, 1997.,

44. Reining v. Mueller, 248 Ill. 389; City of Greenville V. Nowlan, 279 Ill. App. 311.,
45. Tetzlaff Th., Kelsen's Concept of Constitutional Review Accord in Europe and Asia: The Grand Justices in Taiwan, National Taiwan University Law Review, Vol. 1, No. 2, 2006.,
46. Unruh, Der Verfassungsbegriff des Grundgesetzes, 2002, S. 547 f.,
47. Гражданское Процессуальное Уложение Германии, перевод с немецкого, М, 2006.,
48. Елисеев Н. Г, Гражданское процессуальное право зарубежных стран, М, 2004.,
49. Сергеев Д. Н., Конституционное Правосудие в России: Политико-Правовое исследование, Диссертация на соискание ученой степени кандидата политических наук (На правах рукописи), Москва, 2005.,
50. Треушников М. К, Доказательства и Доказывание Советском Гражданском Процессе, 1982.,

სამართლებრივი აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“
3. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია

სასამართლო გადაწყვეტილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება;

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება;
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება #1/3/421,422;
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება;
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 2015 წლის 24 ოქტომბრის, N1/4/592;
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება;
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N1/466;
8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,790,792 გადაწყვეტილება;
9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/2/503,513;
10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის №1/494 განჩინება;
11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 აპრილის N1/3/99 განჩინება;
12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე №1/3/469;

საერთო სასამართლო

1. თბილისის საქალაქო სასამართლო 2018 წლის 18 სექტემბერი კონსტიტუციური წარდგინება #1352;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 30 ივნისის კონსტიტუციური წარდგინება, N1520;
3. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 იანვრის წარდგინება, N1478;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის წარდგინება №772;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის წარდგინება N773;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 29 ივნისის წარდგინება N784;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 29 ივნისის წარდგინება N785;
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 4 ივლისის წარდგინება N789;
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 1 თებერვლის წარდგინება N869,
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 იანვრის წარდგინება N866,
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 30 დეკემბრის წარდგინება N865,
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 8 ნოემბრის წარდგინება N856,
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 15 სექტემბრის წარდგინება N830,
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 9 აგვისტოს წარდგინება N819,
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის წარდგინება N 807,
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 ივლისის წარდგინება N800;
17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის წარდგინება N805;
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 იანვარი წარდგინება N866;
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს , 2016 წლის 4 იანვრის წარდგინება N708;

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს , 2016 წლის 4 იანვრის წარდგინება N709;
21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს , 2016 წლის 5 იანვრის წარდგინება N710;
22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებები (№633,№634);
23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს809-805(3კ-17);
24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე №ბს-847(2კ-18);
25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-829(კ-18);
26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 თებერვლის განჩინება საქმეზე №ბს-92- 1(გან-19);
27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის პირველი ივლისის განჩინება საქმეზე №ა-1378-ა-4-2019;
28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 7 მაისის განჩინება საქმეზე №ა-1225-ა-3-2019;
29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-590-590(კ-18);
30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ივლისის განჩინება საქმეზე №ბს-493(2კ-19);
31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 15 ივლისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-866-862(კ17);

32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-1020(კ-18);
33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-1104(კ-18);
34. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-286-286(კ-18);
35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 28 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ბს-504-501(კ-17);
36. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, 2016 წლის 19 სექტემბრის განჩინება, საქმეზე N2/370-16;
37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება 2019 წლის 5 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-723-2019;
38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება 2019 წლის 5 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-452-2019;
39. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 9 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-1050- 2019;
40. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 16 იანვრის განჩინება საქმეზე №2კ-448აპ.-18;
41. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 25 მარტის განჩინება საქმეზე №2კ-560აპ.-18;
42. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 7 მაისის განჩინება საქმეზე №ა-1225-ა-3-2019;
43. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის პირველი ივლისის განჩინება საქმეზე №ა-1378-ა-4-2019;

